ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 3 თებერვალი, 2017 №28 (7263) ფასი: 50 თეთრი

## სოსო ცისკარიშვილი: „ამჟამად ყველაფერს ერთი რიგითი მოქალაქე განაგებს“



გვ.3

3 თებერვლიდან

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# საქართველოს ისტორიული გარღვევა




გვ.2

## ევროპარლამენტმა საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა






## მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებები ვიზალიბერალიზაციას ვერ იყოფენ



## სოსო ცინცაძე: „აფხაზებს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით სინანული ექნებათ“



გვ.4







გვ.3

რატომ აპირებს „ქართული ოცნება“ საარჩევნო ბლოკების აკრძალვას

სოსო შატბერაშვილი: „თუ „ბავშვთა სამყაროში“ ხანძარი განზრახ გააჩინეს, **დამნაშავეები უნდა დაისაჯონ**“



გვ.5



## ზაზა ხატიაშვილი: „ადვოკატები მკვლელებს იცავენ და ამიტომ შეიძლება, დავიჭიროთ?“

სახლის ნგრევის შედეგად დაზარალებული ორსული ქალის მდგომარეობა სტაბილურია



გვ.7

ISSN 1987-9385



## მოსმენების კანონპროექტი მზად არის



გვ.6

## კონკურენციის სააგენტო რამდენიმე კომპანიის საქმიანობას სწავლობს

ნოდარ ხადური: „ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიმართულებით ერთიანი ხედვა არ არსებობს“

## რა ხდება აზოტის ქარხანაში?

ეფრემ ურუმაშვილი: „ქარხნის გარშემო მიმდინარე პროცესები კრედიტორებთან მოლაპარაკებებს ამძიმებს“





## ყველზე ეტიკეტირების კონტროლი მკაცრდება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# საქართველოს ისტორიული გარღვევა

## ევროპარლამენტმა საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 2 თებერვალს, ევროპარლამენტმა საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა. საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მხარდასაჭერად ხმა ევროპარლამენტის 553 დეპუტატმა მისცა, ხოლო წინააღმდეგი 66 იყო.

ევროპარლამენტის გადაწყვეტილებას საქართველოში დიდი ჟრიამული მოჰყვა. ამ საყოველთაო აჟიოტაჟის ფონზე მოქმედმა და ყოფილმა ხელისუფლებებმა იმის მტკიცება დაიწყეს, თუ ვინ უფრო დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ წავლენ.

მეოცნებეებს საზეიმო განწყობა ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილმა გაუფუჭა. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ვიზალიბერალიზაციას დიდ მიღწევას უწოდებს, მაგრამ მოსალოდნელ საფრთხეებზეც ამახვილებს ყურადღებას, ამასთან, ხაზგასმით ამბობს, რომ ევროპულ გზას საქართველო სწორედ მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაადგა.

– ვარდების რევოლუცია იყო ის ფუნდამენტი, რომელმაც შეუქცევად პროცესად აქცია ქართველი ხალხის თავისუფალი სამყაროსკენ სწრაფვა.

ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა უპირველესად ნიშნავს საქართველოს მოქალაქეებისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის ახალ შესაძლებლობას, მიიღონ განათლება ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში და თავისუფლად იმოგზაურონ ევროპულ სახელმწიფოებში.

ამასთან, ჩვენ ვდგავართ რეალური საფრთხის წინაშე, რომ ივანიშვილის რეჟიმის პირობებში გაღარიბებულმა მოსახლეობამ ყოველდღიური სარჩოს საძიებლად დატოვოს ქვეყანა. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსი ოლიგარქის მმართველობიდან ჩამოშორება, რათა წარმატებული და განვითარებული საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

მჯერა, საქართველო გამოიყენებს ამ უნიკალურ შესაძლებლობას ქვეყნის გაძლიერებისთვის, დემოკრატიული განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, – დაწერა მიხეილ სააკაშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე კი ვიზალიბერალიზაციის მიღებას „ქართულ ოცნებას" უკავშირებს.

– ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა საქართველომ მიიღო ჩვენი ხელისუფლების პირობებში და წარმატებით განახორციელა ჩვენი ხელისუფლების პირობებში საზოგადოების მხარდაჭერით. მადლობა ყველა მოკავშირეს, ყველა უცხოელ მეგობარსა და იმ საჯარო მოხელეებს, რომლებმაც თავდაუზოგავად იმუშავეს ამ შედეგებისთვის, – განაცხადა თალაკვაძემ.

მის განცხადებას ევროპული ოპერატიულობით გამოეხმაურა „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი ოთარ კახიძე. დეპუტატის თქმით, უხერხულია, როცა ხელისუფლება ამ თემაზე კინკლაობს.

– ძალიან უხერხულია ამის განცხადება იმ ადამიანის მხრიდან, რომელიც ფლობს ინფორმაციას, რომ საქმის ძირითადი ნაწილი, რომელიც ჩვენ დღეს მოვიმკეთ, არის ჩვენი ხელისუფლების დროს გაკეთებული. ამაზე კინკლაობაც კი უხერხულია. მინდა, მათაც მივულოცო, – აღნიშნა ოთარ კახიძემ.

ევროპარლამენტის გადაწყვეტილებას გარღვევად აფასებს კიდევ ერთი ევროპელი ქართველი გიორგი კანდელაკი. დეპუტატს ევროპარლამენტში კარგად იცნობენ. ის ამ ფრონტზე ძალიან აქტიურია. „ქართული ოცნება" ევროსტრუქტურებში ყველა ჩავარდნას მას აბრალებდა.

კანდელაკის თქმით, ხელისუფლებას რომ მოენდომებინა, ვიზალიბერალიზაცია ჯერ კიდევ 3 წლის წინ უნდა მიგვეღო, ევროპას მონატრებულ ქართველებს კი ახარა, რომ მათ 1 თვეში შეეძლებათ ბებერ კონტინენტზე უვიზოდ წასვლა.



– ეს არის მართლაც ისტორიული გარღვევა. ვულოცავ საქართველოს ყველა მოქალაქეს. მათ უკვე მარტიდან შეეძლებათ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ წასვლა. მართალია, ეს 2014 წელს უნდა მომხდარიყო, მაგრამ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ეს გარღვევა მართლაც დაიმსახურა ჩვენმა ხალხმა.

ჩვენი ხალხი არ უნდა ისჯებოდეს არაკომპეტენტური მთავრობის შეცდომების გამო და, იმედი მაქვს, ამას მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

მიღწეული შედეგით კმაყოფილმა საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა კი აღნიშნა, რომ ამაში წვლილი შეიტანა როგორც ძველმა, ასევე ახალმა ხელისუფლებამ.

მარგველაშვილმა სამადლობელი სიტყვები არც ევროპელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მიმართ დაინანა.

– მინდა, მივულოცო ჩვენს მოქალაქეებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა ჩვენი ევროპული ინტეგრაციის პროცესში. მე მინდა, მადლობა ვუთხრა ევროპარლამენტარებს ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისთვის, მინდა, მადლობა ვუთხრა ევროპის ელჩებს, რომლებიც მუშაობდნენ ამ მიღწევისთვის, მინდა, მადლობა ვუთხრა ჩვენს მთავრობას, აღმასრულებელსა და საკანონმდებლოს, როგორც მოქმედს, ასევე წინა ხელისუფლებებს იმ მუშაობისთვის, რომელიც მათ შეასრულეს ამ მნიშვნელოვანი მიღწევისთვის.




ამ მიღწევის შედეგებს არა მარტო ქართველები, არამედ მთელი ევროპა მოიმკის, გამომდინარე იმ მნიშვნელოვანი წვლილიდან, რომელსაც ქართველები, ქართული კულტურა, საქართველოს მოქალაქეები ითამაშებენ ევროპაში და იმ მნიშვნელოვანი წვლილისგან, რომელსაც ევროპელები თამაშობენ ქართულ რეალობაში, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მის გარდა, ერს ვიზალიბერალიზაცია პარლამენტის თავმჯდომარემ, პრემიერმა და თითქმის ყველა მინისტრმა მიულოცეს. აქტიურობდნენ დეპუტატებიც.

2 თებერვლის საზეიმო განწყობას პატრიოტთა ალიანსშიც იზიარებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. მათ ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი კი ფიქრობს, რომ ევროპას რუსეთმაც უნდა მიბაძოს.

– მიღებულ გადაწყვეტილებას პოზიტიურად ვაფასებ. მე მას ტაში დავუკარი და გამიხარდა. გამიხარდა ის, რომ ბავშვები, მშობლებთან ათეული წლები სკაიპით რომ საუბრობენ და მშობლებისთვის სკაიპთან რომ იზრდებიან, დაბრუნდებიან და სამუშაოდ უკან წასვლას შეძლებენ. თუ ასე მოხდება, ე.ი. ყველაფერი კარგად იქნება. კარგი იქნება, თუკი ახლა რუსეთიც ადგება და ევროპის ჯინაზე ისიც გააუქმებს ვიზებს. ეს ძალიან მაგარი იქნება. ვიქნებით საერთოდ ირგვლივ თავისუფალი – სადაც გინდა, წადი და მოდი. მიხარია, – ამბობს კვიციანი ,,ინტერპრესნიუსთან" საუბრისას.

* * *

საქართველოს ევროპულ ოჯახთან დაახლოებას ევროპელი პოლიტიკოსებიც ემოციურად შეხვდნენ.

ევროკომისარმა მიგრაციის, საშინაო პოლიტიკისა და მოქალაქეობრივ საკითხებში დიმიტრის ავრამოპულოსმა ევროპარლამენტში გამოსვლისას იმ უცნაურობაზე ისაუბრა, რომელიც საქართველოში ნახა.

– საქართველოში ვიზიტის დროს ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისში ევროკავშირის დროშების რაოდენობამ. თბილისში უფრო მეტი ევროკავშირის დროშაა, ვიდრე ევროკავშირში საქართველოსი, – განაცხადა ავრამოპულოსმა.

ავრამოპულოსმა დადებითად შეაფასა საქართველოს ხელისუფლების მიერ რეფორმების კუთხით გაწეული დიდი ძალისხმევა და აღნიშნა, რომ ვიზალიბერალიზაცია საქართველოსა და ევროკავშირის უფრო დაახლოებისა და თანამშრომლობის გაღრმავების ხელშესახებ მექანიზმს წარმოადგენს, რომლის სიკეთეს თითოეული მოქალაქე იგრძნობს.

ევროკომისრის განცხადებით, საქართველოს მოსახლეობა იმსახურებს უვიზო რეჟიმის მინიჭებას, რადგან საქართველო ვალდებულებების შესრულების კუთხით სამაგალითო ქვეყანაა, რომლის მოსახლეობაც ევროკავშირში ინტეგრაციას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ევროპარლამენტარმა მარია გაბრიელმა კი განაცხადა, რომ ევროპარლამენტის გადაწყვეტილება საქართველოს მიერ გატარებული რეფორმებისა და შრომის აღიარებას ნიშნავს.

– ეს ძალიან ძლიერი სიგნალია. ეს არის ყველა თქვენი მცდელობის აღიარება. გზა იყო მართლაც ძალიან გრძელი, არ იყო მარტივი, რეფორმები იყო კომპლექსური და რთული. საქართველომ დაამტკიცა, რომ ის არის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ევროკავშირისთვის.

ახლა უვიზო მიმოსვლა არ არის საჩუქარი, ესაა აღიარება დამსახურებული შრომისთვის. დღეს ჩვენ ვსაუბრობთ ახალგაზრდა ადამიანებზე, ტურისტებზე, პარტნიორობის გაღრმავებაზე. ჩვენ გავაგრძელებთ ერთობლივ ბრძოლას ევროპული ღირებულებებისთვის, – განაცხადა გაბრიელმა ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას.

* * *



## მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებები ვიზალიბერალიზაციას ვერ იყოფენ



მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბევრი იდავეს, ვისი დამსახურება უფრო იყო ვიზალიბერალიზაცია. ამ კამათში ყველას დაავიწყდა, რომ ამაში დიდი წვლილი შეიტანეს ედუარდ შევარდნაძემ და ზურაბ ჟვანიამ.

ზურაბ ჟვანიას სახელს უკავშირდება 18 წლის წინ წარმოთქმული ფრაზა:

– მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი.

დღეს, 3 თებერვალს, ამ ფრაზის ავტორის გარდაცვალებიდან 12 წელი გავიდა და მისი სიკვდილი დღემდე ბურუსით არის მოცული.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ აპირებს „ქართული ოცნება“ საარჩევნო ბლოკების აკრძალვას

შორენა მარსაგიშვილი



კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს, შესაძლოა, დიდი ალიაქოთი მოჰყვეს. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საარჩევნო ბლოკებსაც მიხედოს. „ქართული ოცნება“, რომელიც თავის დროზე ხელისუფლებაში საარჩევნო ბლოკით მოვიდა, საარჩევნო ბლოკების აკრძალვის მომხრეა.

საარჩევნო ბლოკისა თუ კოალიციის შექმნის შეზღუდვის ინიციატივა საკონსტიტუციო კომისიას პირადად პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გააცნო.

კობახიძისა და კობახიძიანელთა განმარტებით, საარჩევნო სუბიექტად კონსტიტუციაში მხოლოდ პოლიტიკური პარტია განისაზღვრება. მათი თქმით, ამას შედეგად პარტიის გაძლიერება მოჰყვება.

„ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ, პარტიების გაძლიერების გარდა, ეს შეზღუდვა საბიუჯეტო სახსრებსაც დაზოგავს. მაგალითისთვის ნაციონალების ამბავი მოჰყავთ, რომლებმაც არჩევნების წინ „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად ბლოკისმაგვარი შექმნეს. ნაარჩევნებს ისინი დაიშალნენ. „ევროპული საქართველო“ ცალკე წავიდა და, რადგანაც კვალიფიციურ სუბიექტად ითვლება, სახელმწიფომ ბიუჯეტიდან უნდა დააფინანსოს.

„ოცნებას“ სხვა არგუმენტიც მრავლად აქვს, მაგრამ მათ მოსაზრებას არც ოპოზიცია და არც არასამთავრობო სექტორი არ იზიარებენ.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, რომ, კონსტიტუციიდან ბლოკების შექმნის შესახებ მუხლის ამოღების შემთხვევაში, პოლიტიკურის პარტიების უმეტესობას არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ ექნება.

– ბლოკების შექმნის შესაძლებლობის ამოღება კონსტიტუციიდან გულისხმობს იმას, რომ პრაქტიკულად ოპოზიციური სპექტრის ძალიან დიდ ნაწილს არ ექნება საშუალება, მიიღოს პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა. ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ჩვენ პრობლემა შეგვიქმნას და კიდევ უფრო მეტად მოახდინოს ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების რადიკალიზაცია და პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირება კიდევ უფრო მეტად გაზარდოს, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ლაშა ტუღუში.

არასაპარლამენტო ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ამ აკრძალვას კონკრეტული მიზანი აქვს. მათი განმარტებით, „ქართული ოცნებას“ სურს, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს ხელისუფლებაში.

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე მიიჩნევს, რომ თუ საარჩევნო ბლოკების შექმნა აიკრძალა, ვერცერთი ძალა არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას ვერ შეძლებს.

– 1990 წლიდან დღემდე არცერთი ხელისუფლება ხელისუფლებაში არ მოსულა ბლოკის გარეშე, ანუ საქართველოში არის ისეთი სისტემა, რომ ძალისხმევათა კონსოლიდაციის პირობებში ხდება მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა, – ამბობს მედიასთან საუბარში კაციტაძე.

მის მოსაზრებას იზიარებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავაც. ის ვარაუდობს, რომ „ოცნება“ ხალხს ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის უფლებას ართმევს.

– საარჩევნო ბლოკების აკრძალვა ნიშნავს ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილების გზით, ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის აკრძალვას, რასაც შეიძლება ჰქონდეს გამოუსწორებელი შედეგი, – ამბობს კუკავა.

იგივე პრეტენზიები აქვს დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი ახვლედიანსაც. მისი თქმით, აკრძალვის დაკანონების შემთხვევაში საქართველოში პოლიტიკური პარტიები სრულად განადგურდებიან.

– „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი ცვლილება პოლიტიკური პარტიების განადგურებისა და ზოგადად ქვეყანაში პოლიტიკური



პროცესიდან გაქრობის ინიციატივაა, – აღნიშნავს ახვლედიანი.

მისი თქმით, ცვლილებების შემთხვევაში „ქართული ოცნება“ დიდ ოცნებას აისრულებს.

– მმართველი გუნდი დიდი ხანია ოცნებობს იმაზე, რომ ხელისუფლებაში ყოფნა კონსტიტუციით გაიფორმოს, – აცხადებს დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ბლოკების აკრძალვის გარდა, ოპოზიციას სხვა საწუხარიც გაუჩნდა.

ხელისუფლება მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას არ ჩქარობს. არადა, „ოცნება“ ამის გაკეთებას ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების შემდეგ აპირებდა. 2016 წლის არჩევნების წინ თქვეს, რომ ამას 2020 წლის არჩევნებისთვის გააკეთებდნენ.

არასაპარლამენტო ოპოზიციის განცხადებით, თუ კანონს, რომელიც მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასა და პროპორციულზე გადასვლას გულისხმობს, საგაზაფხულო სესიაზე კენჭს არ უყრიან, ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ.

როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, ამ საკითხზე მმართველ გუნდში სერიოზული დაპირისპირებაა. ბობოლა მაჟორიტარების ნაწილი, რომლებიც ლამისაა, პარლამენტის სკამებს შეეზარდნენ, ამ სისტემის გაუქმებას ეწინააღმდეგებიან.

ამ თემაზე მათ წინა მოწვევის პარლამენტშიც მოუვიდათ ჩხუბი. პარლამენტის მაშინდელმა სპიკერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მაჟორიტარული სისტემა უნდა გაუქმებულიყო. დახურულ შეხვედრაზე ისინი სპიკერს გადაყენებითაც კი დაემუქრნენ. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მაჟორიტარული სისტემა გადარჩა.




## ილია მეორე სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავრა

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავრა. პატრიარქი პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გააცილა.

ექიმ ცისანა შარტავას განცხადებით, პატრიარქის გერმანიაში გამგზავრება რამდენიმე დღის წინ ტემპერატურის აწევამ დააჩქარა, თუმცა ექიმი განმარტავს, რომ ილია მეორეს ჩივილები არ აქვს. პატრიარქი სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ იმყოფება.

– პატრიარქის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას ჩივილები არ აქვს, თუმცა სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ იმყოფება.

თქვენ იცით დეკემბერში განვითარებული მოვლენები. ამ ფონზე გამოიკვეთა ნაღველ-კენჭოვანი დაავადება და ნაღვლის ბუშტის ანთება, თუმცა სპეციალისტების დახმარებით მკურნალობა წავიდა რემისიაში.

სამი დღის წინ იყო ხანმოკლე ტემპერატურის რეაქციის ეპიზოდი, მაგრამ, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ ნაღვლის ბუშტში ანთებითი პროცესი გამწვავდა და მოსალოდნელია ანთების შემდგომი გართულება. ამიტომ სპეციალისტებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ გამოკვლევა, დაკვირვება და სავარაუდო სამედიცინო ჩარევა, რომელიც, შესაძლოა, ქირურგიულიც იყოს, მოხდეს არა აქ, არამედ გერმანიაში, ბერლინში, იმ კლინიკაში, სადაც მას ადრეც ელოდებოდნენ, – განაცხადა ცისანა შარტავამ.

**კვირა**

## სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევა 3.787 წვევამდელს შეეხო

სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევა 3 787 წვევამდელს შეეხო. მთავრობის სხდომაზე „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი დამტკიცდა.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა:

– 3.787-დან თავდაცვის სამინისტროსია 1.400, სასჯელაღსრულების – 1.000, შინაგან საქმეთა სამინისტროსი – 965, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის – 422 წვევამდელი.

გაწვევა მოხდება 1-ლი თებერვლიდან 30 ივლისის ჩათვლით. პროცესი ჩვეულებრივად მიმდინარეობს, არაფერი ახალი, განსაკუთრებული არ ხდება, – განაცხადა ზურაბ ალავიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# სოსო ცისკარიშვილი: „ამჟამად ყველაფერს ერთი რიგითი მოქალაქე განაგებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** პასუხობს.

***– ბატონო სოსო, საკონსტიტუციო ცვლილებები, პრეზიდენტის არჩევის წესი ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება. ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ პარლამენტის თბილისში გადმოსვლის შემდეგ ქუთაისის პარლამენტის შენობაში პრეზიდენტის ადმინისტრაცია განთავსდება. რას იტყვით ამის შესახებ?***

– ქუთაისის დამამშვენებელი საპარლამენტო სივრცე იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს პრეზიდენტის რეზიდენცია, თუ 2018 წელს პრეზიდენტად ავირჩევთ იმას, ვისაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი დაასახელებს. ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტს რეალური რეზიდენცია გააჩნია დუშეთში. დღეში ორჯერ დუშეთში ასვლა-ჩამოსვლა არ რგებს საქმეს.

***– რატომ თქვა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უარი, ავლაბრის რეზიდენციაში ეცხოვრა ოჯახთან ერთად?***

– საერთოდ, ყველგან ასეა, იგივე თეთრი სახლი ავიღოთ. პრეზიდენტი ოჯახთან ერთად სწორედ იქ იდებს ბინას, ხოლო ჩვენთან იმისთანა ჟივილ-ხივილი გაიმართა ერთი რიგითი მოქალაქის მხრიდან, რომელმაც ტრაგედიად მიიჩნია, რომ ვერ შეძლო პრეზიდენტის პრივატიზაცია, ეს იყო საკმარისი იმისთვის, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს საერთოდ უარი ეთქვა, ოჯახთან ერთად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ღამე გაეთია.

დღეს, როდესაც პრივატიზებულია არა მხოლოდ პარლამენტი, არამედ სახელმწიფოს კონსტიტუცია, ივანიშვილის მხრიდან მხოლოდ ერთი თავის დაკვრა იქნება საკმარისი, რომ ესა



თუ ის პირი უმრავლესობის მიერ პრეზიდენტად იქნეს არჩეული. ალბათ, ისეთი პირი იქნება არჩეული, ვისაც გული უფრო დასავლეთ საქართველოსკენ მიუწევს, ვიდრე ბრიუსელისკენ.

***– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ თუკი პრეზიდენტის არჩევის წესი შეიცვლება და მას პარლამენტი აირჩევს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაინაცვლებს ქუთაისში პრეზიდენტის რეზიდენცია?***

– რასაკვირველია. საერთოდ, ქუთაისში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა პარლამენტის შენობა. ასეთი თავქუდმოგლეჯილი პროექტის განხორციელების წინაპირობა დაიბადა მაშინ, როცა თვეების განმავლობაში გადაკეტილი იყო რუსთაველის გამზირი, იყო კარვები. პარლამენტი კომიტეტის სხდომებს ატარებდა სხვადასხვა სამინისტროს შენობაში, მაგრამ თავად პარლამენტის ფუნქცია ვერ ხორციელდებოდა. სწორედ ამიტომ მიიღო ყოფილმა პრეზიდენტმა ეს სპონტანური გადაწყვეტილება და ამით რუსთაველის გამზირმაც სიმშვიდე შეიძინა.

ახლა უმრავლესობის უმრავლესობას თან უნდა, რომ გადმოვიდნენ თბილისში, თან ფეხები უკან რჩებათ.

***– რატომ, ეშინიათ?***

– დიახ. მათ წარმოუდგენიათ შენობა, ხალხით გარშემორტყმული. ყველაფერს გადაწყვეტს ფორმულა: გულადი თუ მშიშარა?! მშიშარა სახელისუფლებო გუნდი მოისურვებს ქუთაისში დარჩენას, გულადი მზად იქნება, უფრო ახლოს და უფრო ხშირად ჰქონდეს კომუნიკაცია საზოგადოებასთან, მხარს დაუჭერს პარლამენტის საქმიანობის აღდგენას და არა რუსთაველის გამზირზე გადმოტანას.

***– ანუ თქვენც მომხრე ხართ, რომ პარლამენტმა თბილისში იმუშაოს?***

– მე სწორად მიმაჩნია, რომ საქართველოს დედაქალაქში უნდა იყოს პარლამენტი, მთავრობა და პრეზიდენტი! ეს სამი ძირითადი სუბიექტი ქვეყნის მართვისა არ უნდა იყოს მიმობნეული მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე!

***– პრეზიდენტის არჩევის წესზე როგორია თქვენი პოზიცია?***

– მაჟორიტარული არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო გადათვლილი, რომ უკვე გაჟღერდა თემა – პარლამენტის მიერ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტი! ეს ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტს აირჩევს ერთი რიგითი მოქალაქე, რომელმაც დააკომპლექტა პარლამენტის უმრავლესობა და რომელსაც უკვე ოთხი წელია, დიდი სურვილი აქვს, უმტკივნეულოდ შეცვალოს პრეზიდენტი და მან აირჩიოს ამ თანამდებობაზე ადამიანი.

***– ვისი კანდიდატურა მოიაზრება?***

– აკი დაგვემუქრა კიდეც, რომ ღარიბაშვილი იქნებოდა კარგი პრეზიდენტი. ზოგადად, ის პროცესები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, კარგ ასოციაციებს არ იწვევს. ყველაფერს ეს ერთი ადამიანი განაგებს.

ეს არ არის რაიმე გამონაკლისი ქართულ რეალობაში. ყველა პრეზიდენტი საკუთარი გემოვნებით ადგენდა იმდროინდელ კონსტიტუციებს, თუმცა განსხვავება ის არის, რომ ყოფილი კონსტიტუციები იმართებოდა არჩეული პრეზიდენტების მიერ, ხოლო ამჟამად ყველაფერს განაგებს ერთი რიგითი მოქალაქე, რომელიც თავისუფალ დროს გახლავთ ასწლოვანი ხეების მწყემსი! ჩვენ შეგვიძლია, ახალი კონსტიტუცია წინასწარ გამოვიტიროთ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო ცინცაძე: „აფხაზებს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით სინანული ექნებათ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვიზალიბერალიზაციაზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო. რამდენად შეიძლება, ამ პროცესს შემდეგი ნაბიჯები მოჰყვეს და რაზეა ეს დამოკიდებული?***

– რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის დადებითი ნაბიჯი. რაც შეეხება შემდგომ ეტაპებს, ეს არ არის მარტივი, რადგან ჩვენ არ ვიცით, სამომავლოდ რა იქნება ევროკავშირში.

შემდეგი ნაბიჯები ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ევროპაში ახალი პროცესი მიმდინარეობს. ამ პროცესს გზა გაუხსნა დიდმა ბრიტანეთმა თავისი გამოსვლით ევროკავშირიდან. ამას ემატება არჩევნები, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით არის საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში. თითქმის ყველგან ულტრამემარჯვენე ძალები იმარჯვებენ. ამიტომ, ჯერ არავინ იცის, რა შიდარეგულაციებს შემოიღებენ ეს ქვეყნები.

თუმცა, პესიმისტური განწყობების ადგილი დღეს არ არის, რადგან არ შეიძლება, ეს მოვლენა რამემ დაჩრდილოს. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ პირველი სამი თვე პროცესს, რამდენი პროცენტული მაჩვენებელი იქნება ტურისტების, ვიზიტორების, გაიზრდება ეს მაჩვენებელი თუ არა? იქნება ბუმი?

მე ბუმს არ ველოდები, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ვისაც ფული აქვს, ის ვიზალიბერალიზაციის გარეშეც დადიოდა ევროპაში და ეს მისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა. აქ საუბარია საშუალო ფენაზე, რამდენად შეძლებს საშუალო შესაძლებლობის მქონე ქართველი, წავიდეს ლუვრის, ვერსალის, რომის, ვენეციის სანახავად?! ეს არის მნიშვნელოვანი. მიუხედავად ამ ყველა ნიუანსის გათვალისწინებისა, ვიზების ლიბერალიზაცია დადებითი მოვლენაა.



***– რამდენად არის პოლიტიკური სიგნალი?***

– რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკური სიგნალი როგორც ევროკავშირის მხრიდან, ისე, ამავდროულად, ეს არის სიგნალი რუსეთისთვის.

***– ეს არ მოეწონება რუსეთს?***

– რასაკვირველია, არ მოეწონება. პოსტსაბჭოურ სივრცეში ვიზალიბერალიზაცია მიიღო საქართველომ და უკრაინაა ამ რიგში. მოლდოვას მისცეს, მაგრამ თვითონ თქვა უარი.

***– რამდენად იქნება ვიზალიბერალიზაცია მომხიბვლელი აფხაზებისთვის, ოსებისთვის, ამ მიმართულებით რამდენად ექნება პოლიტიკური დატვირთვა ამ პროცესს?***

– მე გამოვრიცხავ, რომ ამ მიმართულებით დიდი პოლიტიკური გარღვევა გვქონდეს და რაღაც შეიცვალოს, თუმცა, სულაც არ გამოვრიცხავ, აფხაზეთის ელიტამ გულში დანანებით თქვას, თუ რატომ არ არიან საქართველოს შემადგენლობაში.

***– ოსეთში?***

– ოსეთში – ნაკლებად. აფხაზეთში გარკვეულ ნაწილს მართლაც დასწყდება გული, მაგრამ დღეს არც აფხაზები და არც ოსები არ არიან ისეთ რეალობაში, რომ თვითონ მიიღონ რამე გადაწყვეტილება. ამ ორივე ხალხმა ისეთ რეალობაში ჩაიყენეს საკუთარი თავი, რომ თავიანთ ბედს თვითონ აღარ განკარგავენ.

***– ქვეყნის შიგნით ხელისუფლება პიარის თვალსაზრისით რამდენად გამოიყენებს ამას?***

– რასაკვირველია, გამოიყენებს და სხვა ნებისმიერი ხელისუფლება გამოიყენებდა. სულელი იქნებოდა, რომ არ გამოეყენებინა. ზომიერად უნდა მოხდეს გამოყენება, მაგრამ არა ეიფორიაში გადავარდნა და მტკიცება იმისა, რომ დღეის იქით ევროპაში გავიღვიძებთ. ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. რეალურ რეფორმებს ვგულისხმობ. ბოლომდე არა, მაგრამ კარი შეგვიღეს. 90 დღე შეგვიძლია დავყოთ შენგენის ზონაში.

მე მაინც მგონია, რომ ვინც იმედით უყურებდა ვიზალიბერალიზაციას, ეს ის ხალხია, რომლებსაც უნდათ ქვეყნის დატოვება და ლუკმაპურის საშოვნელად წასვლა, მაგრამ მათ ნამდვილად გაუცრუვდებათ იმედი. ისეთი მდგომარეობა არ უნდა მივიღოთ, როგორც რამდენიმე თვის წინ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა, ქართველებით გაივსო ჩვენი ციხეებიო.

რა თქმა უნდა, ევროპის ტერიტორიაზე დანაშაულის პრევენციას ვერ მოვთხოვთ ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ დიდი სამუშაო ექნება ჩასატარებელი, რადგან სერიოზული ახსნა-განმარტება მოუწევთ უფრო რეგიონებში ადამიანებთან, თუ რას ნიშნავს და რას ითვალისწინებს 90 დღით შენგენის ზონაში გადაადგილება. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ქართველი არალეგალებით გაივსოს ევროპა.

ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს და თავიდან უნდა ამოიგდოს ის აზრი, რომ მისი მარიფათის საქმეა, რამდენი დღე დარჩება, 90 თუ 190. თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ, როგორც მოგვცეს, ისე ჩამოგვართმევენ. ეს უკვე ძალიან დიდი კრახი იქნება არა მხოლოდ ამ ხელისუფლებისთვის, არამედ ქართველი ხალხისთვის. ეს არ უნდა დავუშვათ.

# მოსკოვი აფხაზეთში ანქვაბს აბრუნებს

გულიკო ბალაძე

ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთში ძალაუფლების დაბრუნებისთვის ბრძოლას იწყებს. რას შეცვლის ანქვაბის დაბრუნება პოლიტიკაში? ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებს „ახალ თაობასთან“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** აანალიზებს.

***– ბატონო ჯემალ, რას მოიტანს ახალს ანქვაბის პოლიტიკაში დაბრუნება? რა კონფიგურაცია შეიქმნება ანქვაბის დაბრუნებით?***

– როგორც ჩანს, ბატონი ანქვაბი ბრუნდება პოლიტიკაში. მის დაბრუნებას წინ უძღოდა აფხაზეთის საზოგადოებრიობის – ომში დაღუპულთა დედების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის განცხადება-მიმართვა ანქვაბისადმი, რომ დაბრუნებულიყო პოლიტიკაში.

გავრცელებული ინფორმაციით, ის უკვე დარეგისტრირებულიც არის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში. ის საინიციატივო ჯგუფმა დაარეგისტრირა.

როგორც ჩანს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არის მოთხოვნა ძლიერ ხელმძღვანელზე.

***– ხაჯიმბა ძლიერი ხელმძღვანელი არ არის?***

– განვლილი ორი წლის განმავლობაში ხაჯიმბამ სრულიად საპირისპირო წარმოდგენა შექმნა მის პიროვნებაზე. ხაჯიმბა, როგორც ხელმძღვანელი, სუსტია. ის თავის დაპირებებს არ ასრულებს. ქაოსია ქვეყანაში. სადღაც წავიკითხე, რომ იყო ანქვაბი, რომელიც არავის უსმენდა, ახლა გვყავს ხაჯიმბა, რომელსაც არავინ უსმენს. ეს აზრი აფხაზეთიდან მოდის და ძალიან კარგად ახასიათებს ერთსაც და მეორესაც.

***– ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა თუ აქვს ანქვაბის დაბრუნებას?***

– ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, აფხაზეთში ანქვაბი დაბრუნდება პოლიტიკაში, ხაჯიმბა წავა თუ პირიქით. სანამ აფხაზეთი ოკუპირებულია, ვინ უხელმძღვანელებს საოკუპაციო რეჟიმს, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს.



***– სულ ცოტა მნიშვნელობა მაინც არ აქვს, ვინ იქნება სეპარატისტების ლიდერი? ანქვაბი არ იყო წინააღმდეგი, პასპორტი მისცემოდათ იქ მცხოვრებ ქართველებს, რის გამოც მათ დღეს პრობლემები აქვთ.***

– მართალია, ანქვაბი, როგორც ხელმძღვანელი, ბევრად უფრო გამოცდილია, ვიდრე „კაგებეშნიკი“ ხაჯიმბა. ანქვაბმა ძალიან კარგად იცის, რაც იქ დღეს ხდება. საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, უმძიმესი დანაშაულია, რომელიც დღეს თუ არა ხვალ საერთაშორისო სასამართლოს განსჯადი გახდება.

***– ანქვაბის დაბრუნება აფხაზურ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას არ გაამწვავებს?***

– ანქვაბი სად არის დღეს? ანქვაბი დღეს მოსკოვშია. რუსეთს რომ არ სურდეს მისი პოლიტიკაში ჩართვა, მაშინ მას ამას პირდაპირ ეტყოდნენ, საქმეს მისცემდნენ, ბიზნესს მისცემდნენ და ეტყოდნენ, აქ დაკავდი და პოლიტიკას თავი დაანებეო. მას არ ექნებოდა სხვა გზა, გარდა ოკუპანტი ქვეყნის ბრძანების დამორჩილებისა.

***– ანუ ანქვაბი რუსების ნებართვით ბრუნდება?***

– დიახ. რადგან ის მოდის მოსკოვიდან პირდაპირ სოხუმში და კენჭს იყრის, ე.ი. მას პოლიტიკაში დაბრუნება ნებადართული აქვს. თუ ანქვაბის პოლიტიკაში დაბრუნება დაპირისპირებას გამოიწვევს, ე.ი. ოკუპანტ ქვეყანას აფხაზეთში აწყობს კლანებს შორის დაპირისპირება. აწყობს, რომ კარგად მართოს ხელისუფლება. თუ კიდევ უფრო გამწვავდება სიტუაცია, ქაოსი იქნება, ასეთ შემთხვევაში საუკეთესო კანდიდატურა ისევ ანქვაბი იქნება, რომ წესრიგი დაამყაროს.

***– რუსეთი ორმაგ თამაშს თამაშობს?***

– ამას ორმაგ თამაშს ვერ დავარქმევ. ყველაფერი, რაც აფხაზეთში ხდება, რუსეთის პოლიტიკაა, რომელიც მიმართულია აფხაზეთის ეფექტურად მართვისკენ. ეს ადამიანები ასრულებენ და მომავალშიც სურთ, შეასრულონ მარიონეტების როლი. მეტი სხვა როლი მათ არ გააჩნიათ, მაგრამ ვიღაც ამ როლს კარგად თამაშობს, ვიღაც – ნაკლებად. რაც იქ ხდება, ჩვეულებრივი ამბავია ოკუპირებული ტერიტორიისთვის, მით უმეტეს, რუსეთის მიერ ოკუპირებული ანკლავისთვის.

***– პიროვნული დამოკიდებულებები რაიმეს არ განსაზღვრავს? ვთქვათ, ის, რომ ხაჯიმბას სასტიკად ეჯავრება ქართველები, ანქვაბს კი – ხაჯიმბაზე ნაკლებად. თუ ანქვაბი დაბრუნდება სეპარატისტულ ხელისუფლებაში, რაიმე შეღავათი შეიძლება იყოს იქ მცხოვრები ქართველებისთვის?***

– ამაზე მიჭირს პასუხის გაცემა. თუმცა, ვიცი, რომ როგორც ანქვაბმა, ისე მისმა მომხრეებმა საპასპორტო პოლიტიკა, რომელსაც დე ფაქტო ხელისუფლება ატარებს, სასტიკად გააკრიტიკეს და, თუ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, ალბათ, ამ საკითხში რაღაც კორექტივები შევა. იქნებ რუსეთსაც, რომელსაც ადამიანის უფლებების დარღვევისთვის ყველა დონეზე აკრიტიკებენ მთელ მსოფლიოში, რაღაცის შეცვლა უნდა.

მოგეხსენებათ, ეს პასპორტები არის შიდა მოხმარების, აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მათ ძალა არ აქვთ, მაგრამ, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, მისთვის საშვივითაა. მას აქვს უფლება, აფხაზეთში თავისუფლად გადაადგილდეს, აქეთაც გადმოვიდეს.

***– ანქვაბი შეიძლება მოგვევლინოს პარლამენტის თავმჯდომარედ?***

– დიახ. ვფიქრობ, თუ ანქვაბმა მართლა კენჭი იყარა, ალბათ, პარლამენტში გავა. სხვათა შორის, სადაც ანქვაბი იყრის კენჭს, იქ კენჭს იყრის შამილ არძინბა, რომელიც დე ფაქტო მთავრობაში ვიცეპრემიერი გახლდათ. ასევე მოქმედი დეპუტატი ვალერი აგრბა იყრის კენჭს. ისინი ხაჯიმბას კადრებია. მათ არ ვიცნობ, მაგრამ, რადგან ანქვაბი იქ არის რეგისტრირებული, იმედი აქვს, მათ იოლად დაამარცხებს.

***– ანუ ხაჯიმბა იქნება პრეზიდენტი, ხოლო ანქვაბი – პარლამენტის თავმჯდომარე.***

– დიახ. წარმოიდგინეთ, რა იოლი სამართავი იქნება ხელისუფლება ოკუპანტის მიერ.

***– როგორც ჩანს, ამ რეგიონს, ასეთი გეგმის განხორციელების შემთხვევაში, დიდი ბატალიები ემუქრება.***

– დიახ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. მოვლენების განვითარებას ჩვენ თვალ-ყურს მივადევნებთ.

***– ანქვაბი რომელ ოლქში იყრის კენჭს?***

– ანქვაბი კენჭს იყრის მესამე ოლქში. როგორც ჩანს, ეს ტერიტორია სპეციალურადაა შერჩეული. წარმოიდგინეთ, მესამე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე იმყოფება დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლება. ეს არის ქალაქის ცენტრი. სანაპიროდან იწყება და მთელი ცენტრი წარმოადგენს მესამე საარჩევნო ოლქს. ამ ოლქის ტერიტორიაზეა დე ფაქტო მთავრობა, პრეზიდენტი და ქალაქ სოხუმის დე ფაქტო ხელმძღვანელობა. როგორც ჩანს, ანქვაბმა გადაწყვიტა, არჩევნებით „აილოს“ ხელისუფლება, აჩვენოს, სად იყარა კენჭი.



# სოზარ სუბარი: „ნაციონალურმა მოძრაობამ აქციისთვის მხოლოდ 400 კაცის შეგროვება მოახერხა“

საქართველოს ლტოლვითა და განსახლების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, ორკვირიანი სრული მობილიზების შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ მხოლოდ 400 კაცის შეგროვება მოახერხა, რომლებიც სამინისტროსთან დაანონსებულ აქციებში მიიღებენ მონაწილეობას.

ამის შესახებ სუბარმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მედიას განუცხადა.

მისი თქმით, კარგი იქნებოდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას იმ ტერიტორიებზე გაემართათ აქციები, რომლებიც თავად რუსეთს ჩააბარეს.

– ორკვირიანი სრული მობილიზებით, ლამის სამხედრო რეჟიმზე გადავიდნენ და მოახერხეს, რომ 400-კაციანი სია შექმნეს, ვის მოყვანასაც აპირებენ აქციაზე. დიდი წარმატებაა ნაციონალური მოძრაობისთვის, ვულოცავ. ამ 400-კაციანი სიიდან რამდენი მოვა, ჯერ არ ვიცი. ისე, კარგი იქნებოდა, თუ აქციებს გეგმავენ,



აქციები გაეკეთებინათ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მოღალატეობრივად ჩააბარეს რუსეთს, ახალგორში, მაგალითად, რომელიც ჯერ გამოყვეს მცხეთა-მთიანეთიდან, შემდეგ შეუერთეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს და შემდეგ ჩააბარეს რუსეთს. კოდორის ხეობიდან, რომელშიც სამხედრო ჯარი შეიყვანეს, საკუთარი ტერიტორიის დაპყრობის იმიტაცია გაითამაშეს, შემდეგ კი ჩააბარეს რუსეთს. აი, იქ რომ გააკეთონ აქციები, ეს იქნებოდა ბევრად უკეთესი და მაშინ დავიჯერებდი, რომ მათ მართლაც სტკივათ საქართველო, – აღნიშნა მინისტრმა.

რაც შეეხება დევნილების 45-ლარიან სახელმწიფო დახმარებას, სოზარ სუბარის თქმით, დახმარების მოხსნა სტატუსის მოხსნას არ შეეხება.

– დევნილების დახმარება არ შეეხება დევნილის სტატუსს და დევნილის სტატუსი, როგორც პოლიტიკური სტატუსი, რჩება მუდმივად, სანამ არ მოხდება დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 თუ 15 წელია, საერთაშორისო ორგანიზაციები ითხოვენ, ეს მოვიყვანოთ საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში და საერთაშორისო სტანდარტი არის ის, რომ, ასეთი სტანდარტი არ არსებობს, – განმარტა მინისტრმა.

შეგახსენებთ, გასულ კვირას სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ დევნილთა უწყებაში რეფორმა იგეგმება, რომლის მიხედვით, დევნილთა ნაწილს 45-ლარიანი სახელმწიფო დახმარება მოეხსნება. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ შეზღუდვა მაღალშემოსავლიან დევნილებს შეეხება, თუმცა, ნაციონალური მოძრაობა ეჭვობს, რომ რეფორმა დევნილებისთვის სტატუსის მოხსნასაც ითვალისწინებს, ამიტომ დღეიდან პარტიის წევრები და აფხაზთა კრებაში შემავალი დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციები სამინისტროსთან პერმანენტულ აქციებს იწყებენ.

**მედიანიუსი**

# სოსო შატბერაშვილი: „თუ „ბავშვთა სამყაროში“ ხანძარი განზრახ გააჩინეს, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ“

## „პრეზიდენტის ფონდი, ასევე პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის ფონდები დაზარალებულებს უნდა დაეხმარონ“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ პრობლემაზე „ახალი თაობა“ მემარცხენე ალიანსის გენერალურ მდივან **სოსო შატბერაშვილს** ესაუბრა.

***— „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილმა ხანძარმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა მოვაჭრეებს. საზოგადოებაში გაჩნდა პროტესტი იმის გამო, რომ ქვეყანაში კერძო თუ სახელმწიფო თანხები არასწორად იხარჯება. მაგალითად, გამოითქვა აზრი, რომ 5 მილიონ ლარზე მეტი, რომელიც ჯგუფ „აეროსმიტის“ ჩამოსაყვანად არის გამოყოფილი, დაზარალებულებს უნდა დაურიგდეს.***

— ამ ხალხის მდგომარეობა უმძიმესია. ეს მოვაჭრეები „ბავშვთა სამყაროში“ საქმიანობდნენ, რათა ოჯახები ერჩინათ. ისინი არ გამდიდრებულან. თუ არ ჩავთვლით სავაჭრო ცენტრის მეწილეებსა და ხელმძღვანელობას, იქ შეძლებული არავინ ყოფილა. კონცერტებში ძალიან დიდი თანხების ხარჯვას ჩვენი გუნდი სააკაშვილის დროსაც ეწინააღმდეგებოდა. ახლა, როცა, ეკონომიკაში ამდენი პრობლემაა, ეს კიდევ უფრო მიუღებელია. თუმცა, თუ რომელიმე ჯგუფთან ან მომღერალთან კონტრაქტი გაფორმებულია, მისი დარღვევა სწორად არ მიმაჩნია.

თავიდანვე არ უნდა დაიდოს ასეთი კონტრაქტები და გართობას ამ რაოდენობის სახსრები არ უნდა მოხმარდეს. უკვე ხელმოწერილი კონტრაქტი არ უნდა დაირღვეს, მაგრამ დაზარალებულებს აუცილებლად უნდა აუნაზღაურდეთ ზარალი.

***— როგორ?***

— არსებობს პრეზიდენტის ფონდი. ცნობილი გახდა, რომ ამ ფონდის ფული ხმარდება პრეზიდენტისა და მისი ოჯახის საზღვარგარეთ უაზრო სიარულს. ამგვარად დაიარებოდა სააკაშვილი თავის ბებიასთან და სხვა ახლობლებთან ერთად და ფლანგავდა თანხებს. გიორგი მარგველაშვილი იმყოფება იმ რეზიდენციაში, რომლის შენახვა ძალიან ძვირი ჯდება. კეთილი ინებოს, გადავიდეს სხვაგან და ამ შენობის შესანახი თუნდაც ერთი წლის ფული დაურიგდეთ დაზარალებულებს. გარდა ამისა, არსებობს პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარის ფონდები. ისინიც უნდა დაეხმარონ იმ ადამიანებს, რომლებიც ხანძარმა გააკოტრა.

***— ზარალის დათვლა შესაძლებელია?***

— რასაკვირველია. დაუჯერებელია, რომ ამბობენ, ზუსტ ზარალს ვერ დავითვლითო. სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციასა და საგადასახადო სამსახურს ეს არ უნდა გაუჭირდეთ. მემარცხენე ალიანსი მოვითხოვთ, რომ დაზარალებულებს ზარალი 100%-ით აუნაზღაურდეთ.

ვერ წარმომიდგენია, რა ნამუსით უნდა მიიღონ მაღალჩინოსნებმა თავიანთი მაღალი ხელფასები, ასევე პრემიები და დანამატები იმ დროს, როცა ამდენი მოქალაქე, ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩა. დაგეგმილია შენობის დემონტაჟი. იმის მაგივრად, რომ მის გამაგრება-გარემონტებაზე იზრუნონ, ამხელა ნაგებობას ანგრევენ!

ამ შემთხვევამ დეზერტირების ბაზრის ბარბაროსული განადგურება გამახსენა. ეს სააკაშვილ-უგულავას მეცადინეობით მოხდა. საგანგაშოა, რომ ხანძრები გახშირდა, მათი გამოძიება კი არასდროს ბოლომდე არ მიდის. თბილისში ოპერა რომ დაიწვა, ისიც კი ვერ გამოიკვლიეს.

***— მას შემდეგ ტექნიკა განვითარდა.***

— მართლაც, ახლა თითქმის ყველგან კამერებია დამონტაჟებული, ვიდეოჩანაწერები კეთდება. ამ ხანძარზე არსებობს მოწმეების ჩვენებებიც. გამოძიებას აქვს მასალები იმისთვის, რომ ყველაფერი გაარკვიოს. თუ დადგინდა, რომ ხანძარი განზრახ გააჩინეს, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. დაუსჯელობა ასეთი შემთხვევების რიცხვს გაზრდის და მაშინ ჩვენ უფრო დავემსგავსებით მე-20 საუკუნის დასაწყისის ველური კაპიტალიზმის პერიოდის ამერიკას, სადაც ერთმანეთს სასტიკად ებრძოდნენ მაფიოზური ჯგუფები.

მომხდარის გამოძიება აუცილებელია. თუ ამისათვის უცხოელი დეტექტივების ჩამოყვანა გახდა საჭირო, ესეც უნდა გაკეთდეს. საეჭვო ხანძრები მოხდა ელიავას ბაზრობაზე, ასევე „საბას“ ბაზრობაზე. მისახედია ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკაც. შესაბამისი დეტექტორები ძვირი არ ჯდება და ისინი უნდა დამონტაჟდეს.

***— მძიმეა საჯარო სამსახურებიდან დათხოვნილი ადამიანების მდგომარეობაც. ზოგ მათგანს კომპენსაცია მისცეს, მაგრამ ამ პირებმა საპროტესტო აქციები მაინც გამართეს.***

— ამ კომპენსაციასაც არ დაარიგებდნენ, ჩვენ და კიდევ სხვა პოლიტიკოსებს რომ არ აგვეტეხა ხმაური. შემცირებულების პროტესტი გასაკვირი არ არის, იმიტომ, რომ დაირღვა კონტრაქტი. კონტრაქტი უნდა შესრულდეს – ეს რომის სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. თუ იძულებული ხარ, თანამშრომელი სამსახურიდან გაუშვა, მაშინ მასთან ხელშეკრულებას მაინც ნუ გააგრძელებ!

კონტრაქტების დარღვევა ხელს ვერ შეუწყობს ქვეყნის სტაბილურობას. ხელისუფლებამ ხალხის დასაქმების პირობა დადო, მაგრამ ჯერჯერობით ხალხს ამცირებს. მე, კახა ძაგანიამ და პაატა ჯიბლაძემ ამგვარი რამ ჩვენს თავზე გამოვცადეთ. როცა ნაცმოძრაობამ უმრავლესობა მიიღო, საკრებულოს თანამდებობებიდან დაგვითხოვა.

***— არჩევითი ორგანოდან სააკაშვილი ვერ დაგითხოვდათ.***

— რომ შესძლებოდა, ამასაც გააკეთებდა. სოციალური კომისიის თავმჯდომარეობიდან რომ გადამაყენა, ამის შემდეგ ხალხს ველარ ვეხმარებოდი. მანამდე ეს პოსტი საშუალებას მაძლევდა, მომეგვარებინა ჩემთვის უცნობი მოქალაქეების პრობლემები. ნაციონალებს ამ კომისიაში ერთი პრობლემაც არ მოუგვარებიათ. სააკაშვილმა მაშინ მთელი რესურსები თანაპარტიელებისა და თავისი ამომრჩევლების მოსაქრთამად მიმართა.

***— კიდევ ერთ აქტუალურ საკითხს შევეხოთ. არსებობს იდეა, რომ პარტიებს აეკრძალოთ ბლოკებსა და გაერთიანებებში შესვლა.***

— ჩვენც შევიტყვეთ ამის შესახებ. მემარცხენე ალიანსი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ქვეყანაში 240-მდე პარტიაა. აქედან არცერთი არ არის რეიტინგული. „ქართული ოცნების“ წარმატებაც მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის დიდ ავტორიტეტს უკავშირდება. რატომ უნდა აეკრძალოთ პარტიებს ბლოკების შექმნა? ჩვენ რომ თანამოაზრე პარტიასთან გავერთიანდეთ, ამით რა დაშავდება? ხელისუფლება, პირიქით, ხელს უნდა უწყობდეს პოლიტიკური ორგანიზაციების გამსხვილებას. თუ ევროპისკენ მივდივართ, ასე უნდა იყოს. ბლოკების შექმნის აკრძალვა დემოკრატიას ეწინააღმდეგება.



### „ბლოკების შექმნის აკრძალვა დემოკრატიას ეწინააღმდეგება“

# გენადი ონიშჩენკო: „2008 წელს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის ბრძანება თბილისმა ვაშინგტონიდან მიიღო“

საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის სავარაუდო აღდგენის თემაზე კომენტარი გააკეთა რუსეთის დუმის დეპუტატმა გენადი ონიშჩენკომ, რომელიც ადრე რუსეთის მთავარ სანიტარულ ექიმად მუშაობდა.

— დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია იმ ადამიანების ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რომლებიც თბილისის ხისტი გადაწყვეტილების შედეგად მძიმე სიტუაციაში ჩავარდნენ.

რუსეთში ხომ ბევრი ქართული ოჯახი ცხოვრობს? მათ ხომ თავიანთი მენტალობის შენარჩუნება სურთ? ესე იგი, მათთვის სამშობლოსთან კავშირი აუცილებელია. ურთიერთობის აღდგენა ყველასთვის სასარგებლო იქნება, — აღნიშნა გენადი ონიშჩენკომ.



დეპუტატის აზრით, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, რომელიც 2008 წელს მოხდა, ვაშინგტონის პროექტს წარმოადგენდა:

— როცა საქართველომ თავისი ინიციატივით გაწყვიტა ურთიერთობა, ვაშინგტონის კარნახით, თბილისმა ძალიან იჩქარა. იმ დროსაც კი, როცა მე „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელი ვიყავი და ქართველები ჩვენთან ყველანაირი ყალბი პროდუქციის შემოტანას ცდილობდნენ, მაშინაც კი ჩვენ ადამიანურ ურთიერთგაგებას ვახერხებდით, დაინტერესებულნი ვიყავით საკითხების მოგვარებით. უბრალოდ, ქართველებმა ბრძანება მიიღეს, ურთიერთობა გაწყვიტეთო.

გენადი ონიშჩენკოს აზრით, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაზე არის დანაშაული არამარტო რუსეთში მცხოვრები ქართველების წინაშე, არამედ თვით საქართველოს მოსახლეობის მიმართაც.

— სადაა ის ეფექტური მენეჯერი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ოდესაში პოზიორობდა? მიმალულია, ალბათ... მას ხომ დიდი დანაშაული აქვს ჩადენილი ორივე ქვეყნის ხალხის წინაშე, — განაცხადა დეპუტატმა.

**ნიუსპრესი**

# რუსეთი აფხაზეთს დენს საქართველოს მეშვეობით მიაწვდის

რუსულ მედიაში აფხაზეთის ენერგოსისტემის შესახებ სტატია გამოქვეყნდა. ნიუსპრესი მას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

* * *

უახლოეს დღეებში აფხაზეთში ტექნიკური მიზეზების გამო ენგურჰესი გაჩერდება, რომლის სიმძლავრე 1,3 გიგავატს შეადგენს.

აფხაზეთის ელექტროგამანაწილებელმა კომპანიამ „ჩერნომორენერგომ“ გამოაცხადა, რომ ელექტროენერგიის დეფიციტი რუსეთიდან ანაზღაურდება, კომპანია „ინტერ-რაო“-ს მეშვეობით, მაგრამ რუსული ჰოლდინგი უარყოფს აფხაზეთთან რაიმე კონტრაქტის არსებობას.

რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიუხედავად, მოსკოვს სოხუმთან ჯერ კიდევ არ აქვს გაფორმებული რაიმე შეთანხმება ენერგეტიკის დარგში, ხოლო ელექტროენერგიის დანაკლისს, ენგურჰესის გაჩერების შემდეგ, აფხაზეთს კვლავ თბილისი აუნაზღაურებს.

„ინტერ-რაო“ ფორმალურად განახორციელებს ჩვეულებრივ საექსპორტო ოპერაციას საქართველოსთან. თუ რუსული კომპანია აფხაზეთთან პირდაპირ კონტაქტებს დაამყარებდა, ამგვარი მოქმედება გამოიწვევდა „ინტერ-რაოს“ ურთიერთობის გართულებას საქართველოსთან, სადაც რუსული ჰოლდინგი ენერგოაქტივებს ფლობს.

აფხაზეთის „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელ ასლან ბასარიას თქმით, ენგურჰესის გაჩერება გამოწვეულია ჯვრის წყალსაცავში წყლის ნაკლებობის გამო. გარდა ამისა, აუცილებელია დერივაციული გვირაბის მონიტორინგიც, რომელიც წესით ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს, რეალურად კი 2006 წლიდან არ განხორციელებულა.

ასლან ბასარიამ აღნიშნა, რომ ეს საკითხები განხილულ იქნა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან ერთად მინსკის შეხვედრაზე, გარდა ამისა, მოსკოვშიც გაიმართა მოლაპარაკება აფხაზი, ქართველი და რუსი ენერგეტიკოსების მონაწილეობით.

აფხაზეთი ამჟამად 390 მეგავატ ელექტროენერგიას მოიხმარს, ელექტროენერგიის დანაკლისი ნაწილობრივ შევსებული იქნება „ვარდნილჰესიდან“ (50-60 მეგავატი). გარდა ამისა, როგორც ასლან ბასარიამ განაცხადა, „მოვილაპარაკეთ, რომ ქართული ენერგოსისტემაც დაგვაზღვევს ელექტროენერგიის უკმარისობის პირობებში“.

თავის მხრივ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში ამბობენ, რომ მოსკოვში ქართველი ენერგეტიკოსების მონაწილეობით არავითარი შეხვედრა არ გამართულა, როგორც ჩანს, ასლან ბასარიას მხედველობაში ჰქონდა აფხაზი და რუსი ენერგეტიკოსების შეხვედრაო.

* * *



კრასნოდარის მხარიდან აფხაზეთში ელექტროენერგიის გადადინებისთვის აუცილებელი ტექნიკური შესაძლებლობები არსებობს, მაგრამ ამჟამად აფხაზეთისა და რუსეთის ენერგოსისტემების თანამშრომლობის შესახებ არანაირი ორმხრივი დოკუმენტი არ არსებობს.

ეს ფაქტობრივი მდგომარეობითაც დასტურდება: დღეისთვის აფხაზური და ქართული ენერგოსისტემები ტექნიკურად ჯერ კიდევ არაა გაყოფილი, ხოლო სასაზღვრო ჰიდროელექტროსადგური „ენგურჰესი“ 1993 წლიდან ორივე მხარისათვის მუშაობს — ელექტროენერგიის 60%-ს თბილისი იღებს, 40%-ს კი — სოხუმი, თუმცა არც ეს არ არის ოფიციალური დოკუმენტებით გაფორმებული.

რაც შეეხება რუსულ „ინტერ-რაოს“, რომელიც საქართველოში ფლობს ელექტროგამანაწილებელ კომპანია „თელასს“, „ხრამჰეს-პირველს“ და „ხრამჰეს-მეორეს“, მისთვის, გასაგები მიზეზების გამო, აფხაზეთთან პირდაპირი კონტრაქტების გაფორმება პრობლემატურია, რადგან შეიძლება გარკვეული რისკები წარმოიქმნას.

რუსეთიდან აფხაზეთში ელექტროენერგიის პირდაპირი მიწოდება არ მოხდება, ენერგოდეფიციტის დაფარვა განხორციელდება საქართველოსთვის მიწოდებული დამატებითი მოცულობის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში საქართველო უთანხმდება ხოლმე რუსეთს ელექტროენერგიის მიწოდებაზე „კავკასიონის“ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით. ფულს თბილისი იხდის, შემდეგ კი წრიული სქემით ელექტროენერგია აფხაზეთში გადადინდება.

ელექტროენერგიის მიწოდების ასეთი სქემა სეზონური ხასიათისაა. საქართველო მიღებული ელექტროენერგიის მოცულობას იგივე ფასებით რუსეთს ზაფხულში დაუბრუნებს, როცა წყალსაცავები სავსე იქნება.

**ნიუსპრესი**


**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

2017, 3 თებერვალი, №28

# კონკურენციის სააგენტო რამდენიმე კომპანიის საქმიანობას სწავლობს

## ნოდარ ხადური: „ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიმართულებით ერთიანი ხედვა არ არსებობს“



საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ნოდარ ხადურის განცხადებით, ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიმართულებით ერთიანი ხედვა არ არსებობს.

როგორც ნოდარ ხადურმა ანტიდემპინგური კანონმდებლობის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, კონკურენციის სააგენტოს ექსპერტები ამ კანონპროექტის შექმნაში მონაწილეობდნენ.

– ამ მიმართულებით ერთიანი ხედვა არ არსებობს, არის აზრთა სხვადასხვაობა, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა საკითხზე ეკონომიკასა და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეს ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. არის ყველანაირი გამოცდილება.

ჩვენი ექსპერტები მონაწილეობდნენ ამ კანონპროექტის შექმნაში, თუმცა ამჟამად დაველოდოთ საქართველოს პარლამენტს, ამ საკითხის განხილვა მოხდება საკანონმდებლო ორგანოში და შემდეგ იქ გადაწყდება, თუ რომელი ორგანო იქნება აღმასრულებელი – კონკურენციის სააგენტო თუ სხვა რომელიმე სახელმწიფო უწყება, ან საერთოდ, რა კომბინაციით ჩამოყალიბდება ეს კანონი, – განაცხადა ხადურმა.

მისივე თქმით, არის ზოგიერთი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ეტაპზე არ არის იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს ჰქონდეს ასეთ ტიპის კანონმდებლობა, თუმცა კანონპროექტი მზადაა.

– ის საჭიროებს გარკვეული ტიპის სამუშაოებს. ამაზე უფრო ეკონომიკის სამინისტრო და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები იმუშავებენ, – განაცხადა ხადურმა.

* * *

კონკურენციის სააგენტო ბაზარზე მოქმედი რამდენიმე კომპანიის საქმიანობას სწავლობს.

როგორც ხადურმა აღნიშნა, კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებით მუშაობას, მათ შორის, სააგენტო განიხილავს იმ განცხადებებს, რომლებითაც მას ნებისმიერი ადამიანი მიმართავს; იმ საჩივრებს, რომელთაც უშუალოდ დაზარალებული მხარე წარადგენს და ასევე კონკურენციის სააგენტო საკუთარი ინიციატივით შეისწავლის ამა თუ იმ ბაზარს.

– ამ ეტაპზე ჩვენ ვსწავლობთ რამდენიმე ძალიან სერიოზულ ბაზარს. ეს არის მობილური ტელეფონების აპარატები, ერთ-ერთი ძალიან ცნობილი კომპანიის. ეს არის სასოფლო-სამეურნეო სფეროში მიმდინარე გარკვეული პროცესები და იქ მონიტორინგს ვახორციელებთ, – განაცხადა ხადურმა.

მისი ინფორმაციით, სააგენტოში შევიდა საჩივარი ბუქინგ.კომთან დაკავშირებით.

– ჩვენ ის არ დავაკმაყოფილეთ, თუმცა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მონიტორინგი განვახორციელოთ ამ მიმართულებით, რათა ტურისტებს ჰქონდეთ უფრო მეტი ინფორმაცია იმაზე, რომ როცა საქართველოში ჩამოდიან, რა ფასად რა ხარისხის მომსახურების მიღება შეუძლიათ, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

გარდა ამისა, სააგენტო ამ ეტაპზე მუშაობს ფოთის პორტის წინააღმდეგ გადამზიდავების საჩივარზე.

– ასე რომ, საკმაოდ საინტერესო, საკმაოდ ფართო სპექტრის საქმეებს იხილავს დღეს კონკურენციის სააგენტო, – განაცხადა ხადურმა და დასძინა, რომ მობილურ ტელეფონებში ის „აიფონს“ გულისხმობდა.

მისივე თქმით, „აიფონის“ რამდენიმე დილერია საქართველოში, რომელთა შორისაც არის გარკვეული უთანხმოება და მათ კონკურენციის სააგენტოში ერთმანეთის მიმართ საჩივრები აქვთ წარმოდგენილი.

რაც შეეხება სასტუმროების დაჯავშნის სფეროში მოქმედ კომპანიებს, როგორც ხადურმა აღნიშნა, კონკურენციის სააგენტოში თავიდან შევიდა ინფორმაცია, რომ ბუქინგ.კომი არღვევდა კანონმდებლობას. სააგენტომ შეისწავლა საჩივარი და აღმოჩნდა, რომ ამას საფუძველი არ ჰქონდა.

– ამავე დროს, ჩვენ დავინტერესდით ბუქინგ.კომის მსგავსი რამდენიმე კომპანიით, რომელიც ამბობს, რომ ისინი საქართველოში მუშაობენ, თუ რა პირობებით ახორციელებენ ისინი ჩვენს სასტუმროებთან კომუნიკაციას.

ჩვენ ყველა სასტუმროსთან, ტურისტულ ასოციაციასთან, ორგანიზაციასთან გვაქვს ძალიან კარგი კომუნიკაცია, გამოვითხოვეთ მათგან ინფორმაცია და ახლა ვსწავლობთ. მინდა გითხრათ, რომ ამ სფეროში მართლაც კარგი კონკურენცია გვაქვს, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

**კომერსანტ.გე**

# რა ხდება აზოტის ქარხანაში?

## ეფრემ ურუმაშვილი: „ქარხნის გარშემო მიმდინარე პროცესები კრედიტორებთან მოლაპარაკებებს ამძიმებს“



– ჩემი კომპანიის მიერ ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს, რათა მოხდეს ქარხნის დროულად ამუშავება, – განაცხადა ბიზნესკონტრაქტთან საუბრისას კომპანია „იუ ინვესთმენთის“ დირექტორმა ეფრემ ურუმაშვილმა.

მისი თქმით, ბოლო ერთი კვირაა, აზოტის ქარხნის ტერიტორიაზე პროვოკაციულ ქმედებებს აქვს ადგილი.

როგორც ურუმაშვილი განმარტავს, იმ თანამშრომლებს, რომლებთანაც ამ დროისთვის შრომითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, 500-ლარიანი კომპენსაცია დაენიშნებათ 3 თვის განმავლობაში, ქარხნის სრულად ამუშავების შემდგომ კი ისინი დასაქმების პრიორიტეტში იქნებიან.

– მათთან ჩემს წარმომადგენლებს ყოველდღიური მუშაობა აქვთ. დღეს დილიდან მობილიზებული იყვნენ პროფკავშირების წარმომადგენლები, სამწუხაროდ პოლიტიკოსებიც მათ შორის ნაციონალური მოძრაობიდან და აუდიტორია 115-ის წარმომადგენლები. ამ დროს მუშები ფაქტიურად არ უერთდებიან პროვოკაციულ შეჭრას ქარხნის ადმინისტრაციული შენობის ნაწილში.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ფაქტობრივად, ვერ ხორციელდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებების წარმოება ქარხნის ამუშავებაზე. იმ ფონზე, როდესაც მიმდინარეობს მიტინგები, საკმაოდ გვიჭირს, მაგალითად, კომპანია სოკართან მოლაპარაკება.

ის პროცესები, რომლებიც ხდება ქარხნის გარშემო, ამძიმებს მოლაპარაკებების პროცესს კრედიტორებთან, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ქარხნის ამუშავებაზე. თუ ქარხანა არ ამუშავდა, საკმაოდ რთული და შეუძლებელი იქნება ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ჩემი თხოვნა იქნება, ნუ აწყობენ პროვოკაციებს, რომლებიც შინაარსს მოკლებულია, – განაცხადა ურუმაშვილმა.

**ბიზნესკონტრაქტი**

# ყველზე ეტიკეტირების კონტროლი მკაცრდება



სურსათის ეროვნული სააგენტო ყველის ეტიკეტირებაზე კონტროლს ამკაცრებს. სურსათის ეროვნულ სააგენტოში მსხვილი სუპერმარკეტების წარმომადგენლებს რძის, რძის ნაწარმისა და რძის შემცველი პროდუქტების ეტიკეტირებისა და რეალიზაციის სავალდებულო მოთხოვნები უკვე გააცნეს.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ყველზე, რომელიც ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და, ამავე დროს, მაღალი რისკის შემცველი სურსათია.

– მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ყველა ის ნორმა, რასაც რძის ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს. დაუშვებელია, „ყველის“ სახელწოდებით იყიდებოდეს პროდუქტი, რომელიც მცენარეულ ცხიმს შეიცავს. ამ საკითხს სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს და მკაცრად გააკონტროლებს ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის სისწორეს, – განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლებს დეტალურად გააცნეს ეტიკეტზე დასატანი ინფორმაცია, კერძოდ, ეტიკეტზე პროდუქტის დასახელებასთან ერთად მითითებული უნდა იყოს მწარმოებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები (დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საწარმოს აღიარების ნომერი), პროდუქციის შემადგენლობა, სტანდარტის ნომერი, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, შენახვის პირობები, ენერგეტიკული ღირებულება 100 გრ პროდუქტში და მასა.

ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის ბიზნესოპერატორების მიმართ გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

კონტროლი გამკაცრდება აგრარულ ბაზრებშიც.

როგორც „კომერსანტს“ სურსათის ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, ბაზარში ყველი ისევე შემოწმდება, როგორც სავაჭრო ობიექტებში.

– იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამონათვალშია, ყველა რეგისტრირებული ბიზნესოპერატორი უნდა აკმაყოფილებდეს და ბაზარში მათი შემოწმება ანალოგიურად მოხდება. რაც შეეხება გარევაჭრობას, ჩვენ ამას ვერ ვაკონტროლებთ და, შესაბამისად, ეს წესი იქ გარემოვაჭრეებზე ვერ გავრცელდება, – განუცხადეს „კომერსანტს“ სურსათის ეროვნულ სააგენტოში.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**



# აქციზის გადასახადი შემცირდება

– აქციზის გადასახადის შემოღება იყო დროებითი მოვლენა და გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ის შემცირდება, – განაცხადა ბიზნესკონტრაქტის კითხვაზე პასუხად დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, აღნიშნული ვადა დაახლოებით 2-3 წელია.

– ჩვენი პოლიტიკაა, რომ გადასახადები არ გაიზრდება. აქციზს რაც შეეხება, თქვენ კარგად იცით, ეს რატომაც მოხდა, ეს არის დროებითი ღონისძიება, მხოლოდ იმისთვის, რომ ის დანაკლისი შეავსოს ბიუჯეტმა, რომელსაც მოგების გადასახადის გაუქმებით მიიღებს. მოგების გადასახადის გაუქმება კი არის წარმოების წახალისებისკენ მიმართული ღონისძიება. აქციზის გადასახადის შემოღება იყო დროებითი მოვლენა და ის შემცირდება, როდესაც ეს ვადა გავა, – განაცხადა მინისტრმა.

**ბიზნესკონტრაქტი**

# „ბლაუნშტაინი“ სოფელ პიპილეთში ფერმას ააშენებს

ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ პიპილეთში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფერმა აშენდება, რომელიც, სულ მცირე, 45 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე იქნება გათვლილი.

ფერმის აშენებისა და მოწყობის მიზნით კომპანია მინიმუმ 95.000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, რაჭის რეგიონში მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ შპს „დაუთას“ ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერში მდებარე 64.0664 ჰა სათიბი მიწის ნაკვეთი 25-წლიანი იჯარით გადასცა.

უწყების ცნობით, შპს „დაუთა“ თანამშრომლობს შვეიცარიულ-ქართულ კომპანია შპს „ბლაუნშტაინ საქართველოსთან“ და



ჩართულია რაჭის რეგიონში მეცხოველეობის განვითარების პროექტში.

პროექტი ითვალისწინებს შვეიცარიული ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივ ჯიშთან შეჯვარებასა და რეგიონისთვის ოპტიმალური ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას.

**ბიპიენი**

# 65.7%-ის ფინანსური მდგომარეობა 2016 წელს გაუარესდა



ბიზნესპრესნიუსზე ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა 65.7%-ის თქმით, 2016 წელს მათი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

გამოკითხვაში მონაწილეთა 11.1% თვლის, რომ ფინანსური მდგომარეობა მცირედით გაუმჯობესდა, ხოლო 9.4% ამბობს, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა.

6.3%-ის თქმით, ფინანსური მდგომარეობის კუთხით მათი მდგომარეობა მხოლოდ მცირედით გაუარესდა. ხოლო 7.5 %-ის თქმით, 2016 წელს მათი ფინანსური მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 1.275-მა ადამიანმა მიიღო. გამოკითხვა საიტზე 23 დეკემბრიდან 2 თებერვლამდე მიმდინარეობდა.

**ბიპიენი**

# მოსმენების კანონპროექტი მზად არის

ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროექტი მზად არის. ის რეგისტრირებისთვის პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს მალე ჩაბარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე მომავალ კვირას, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნისას, იქნება ინიცირებული და პარლამენტის ბიუროს წარედგინება.

ინტერპრესნიუსის ინფორმაციით, საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტს უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატის ავტორობით წარედგინება.

საკანონმდებლო ცვლილება რამდენიმე კანონში შედის, ძირითადი კანონპროექტი კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურაში ახალი სამსახურის – საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნას ითვალისწინებს, რომელმაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება უნდა უზრუნველყოს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და პროექტის ერთ-ერთი ინიციატორის დავით მათიკაშვილის განცხადებით, კანონპროექტით უზრუნველყოფილია აღნიშნული სამსახურის მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხი.

როგორც მათიკაშვილმა ინტერპრესნიუსთან საუბრისას აღნიშნა, სამსახური ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე, რომელიც სამსახურის ხელმძღვანელს დანიშნავს.

მისივე თქმით, სისტემის მაკონტროლებელი იქნება უზენაესი სასამართლოს მიერ შერჩეული მოსამართლე, სახალხო დამცველი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და პარლამენტის ნდობის ჯგუფი.

– მაკონტროლებელთა ძალიან ფართო სპექტრია წარმოდგენილი, რაც ქმნის იმის გარანტიას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავიდან ბოლომდე სრულდება, ასევე ორი უმნიშვნელოვანესი უფლება – ადამიანის უფლებები, პირადი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა, უკანონო მიყურადების არდაშვება იქნება დაცული.

მეორე მხრივ, ქვეყნის უსაფრთხოება და საზოგადოების უფლება, რომ უსაფრთხო გარემოში იცხოვროს, ამ კანონით უზრუნველყოფილი იქნება, – განაცხადა დავით მათიკაშვილმა.

აღნიშნული სამსახური სუს-თან პირდაპირ დაქვემდებარებაში არ იქნება. მას გააჩნია დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხი, რაც ძალიან ბევრი ფაქტორით გამოიხატება.

– მომზადებული კანონპროექტით, ფარული მოსმენა-მიყურადება შემდეგი წესით განხორციელდება: თუკი გადაუდებელი აუცილებლობა არ არის, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკანონებული ქმედების შესახებ საგამოძიებო სტრუქტურის შუამდგომლობა ამ უწყებაში მიდის და მოსმენის „გასაღები" ირთვება.

თუ არის გადაუდებელი აუცილებლობა, მაშინ ღონისძიება მყისიერად ტარდება და მას სასამართლო 48 საათში აკანონებს. ამასთან, თუკი ფარული საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ნახავს, რომ არის შეუსაბამობა, უკანონობა, მას აქვს გამორთვის უფლება, – განუცხადა ინტერპრესნიუსს დავით მათიკაშვილმა.





# ზაზა ხატიაშვილი: „ადვოკატები მკვლელებს იცავენ და ამიტომ შეიძლება, დავიჭიროთ?"

– ადვოკატები მკვლელებს იცავენ, ამიტომ შეიძლება, დავიჭიროთ? საადვოკატო საქმიანობის აკრძალვის უფლება ვის აქვს ამ ქვეყანაში? ისინი, როგორც ადვოკატები, ისე მოქმედებდნენ და არა – როგორც გარეშე პირები.

ამის შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, რომელიც 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის ზონაში მიწების თაღლითურად მითვისების ბრალდებით დაკავებული ორი ადვოკატის, ნათელა გოდერიძისა და მზევინარ კოსტავას სასამართლო პროცესს ესწრებოდა.

ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, მათ საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, ნოტარიუსს წარუდგინეს საჯარო რეესტრის ინფორმაცია, რაც სიყალბედ არ უნდა ჩაითვალოს.

ზაზა ხატიაშვილი აცხადებს, რომ თუ ბრალდება ძალაში დარჩება, ეს იქნება ადვოკატთა ინსტიტუციური დევნა.

– ადვოკატები ზოგჯერ იცავენ ბრალდების მხარეს, ზოგჯერ – დაზარალებულებს. როცა ადვოკატი პროცესს იგებს, მოწინააღმდეგე მხარეს ყოველთვის აქვს აგრესია. აქედან გამომდინარე, როცა ადვოკატი მოიგებს საქმეს, ციხეში უნდა ჩავსვათ?

ისინი ახორციელებდნენ საადვოკატო საქმიანობას. მათ არ აქვთ წარდგენილი ბრალდება, რომ შექმნეს ყალბი დოკუმენტი. მათ წარადგინეს, ოფიციალურად, საჯარო რეესტრიდან დოკუმენტური ინფორმაცია. ადვოკატებს სიყალბე არ წარუდგენიათ და თაღლითობა ედებათ ბრალად. ბრალი იმაში მდგომარეობს, რომ ნოტარიუსი შეიყვანეს შეცდომაში.

ეს ბრალდება თუ ძალაში დარჩა, იქნება ადვოკატთა ინსტიტუციური დევნა. ეს არის პოლიტიკური ბრალდება. 400 ადვოკატს წავაკითხე ბრალდება, მე ხომ არაფერი მეშლება-მეთქი. დაზარალებულებიც დარწმუნდებიან, რომ ამათ არაფერი გაუფუჭებიათ, – აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

მისი თქმით, ნათელა გოდერიძე და მზევინარ კოსტავა ახლაც ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატები არიან და მათ გარიცხვას არავინ აპირებს.

## ბრალდებული სასამართლოზე შეუძლოდ გახდა

13 ივნისის სტიქიის ზონაში ქონების თაღლითურად მითვისების ბრალდებით დაკავებული ქეთევან ჯავახიშვილი სასამართლოს მიმდინარეობას შეუძლოდ გახდა და სასწრაფო დახმარების გამოძახება დასჭირდა.

ამის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე დროებით შესვენება გამოცხადდა.

როგორც ინტერპრესნიუსს ბრალდებულის ახლობელმა ნინო ხაზაურაშვილმა განუცხადა, ქეთევან ჯავახიშვილმა პროკურორს დაუსვა კითხვა, თუ რის გამოა ის ციხეში, მაშინ როცა მან ქონება გაცილებით ადრე შეისყიდა, ვიდრე სტიქია იქნებოდა.

ხაზაურაშვილის თქმით, პროკურორმა ჯავახიშვილს ზოგადო პასუხი გასცა, რის შემდეგაც მისი ახლობელი შეუძლოდ გახდა.

ნინო ხაზაურაშვილის თქმით, 65 წლის ჯავახიშვილს გულის არითმია აქვს, ერთი თირკმელი აქვს ამოჭრილი, ერთ თვალში მხედველობა პატიმრობის შემდეგ დაკარგა, ასევე მაღალი წნევის მატარებელია.

# სახლის ნგრევის შედეგად დაზარალებული ორსული ქალის მდგომარეობა სტაბილურია

რამდენიმე დღის წინ დიდთოვლობის შედეგად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა განთიადში თამაზ გორგაძის საცხოვრებელი სახლი დაინგრა.

როგორც ნიუპოსტს სამაშველო სამსახურში განუცხადეს, ნანგრევებიდან 21 წლის ლადო გორგაძე ამოიყვანეს. მაშველები მას 4 საათის განმავლობაში ეძებდნენ.

გორგაძე ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია, კონტაქტურია და უტარდება გამოკვლევები.





ნანგრევებიდან ამოიყვანეს 5-სულიანი ოჯახის 3 წევრი. გადარჩენილებს შორისაა ორსული ქალი, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ბათუმის დედათა და ჩვილ ბავშვთა სახლში გადაიყვანა. ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან ოჯახის სხვა წევრებიც.

ორსული ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

36 კვირის ორსულს ჩაუტარდა საჭირო სამედიცინო კვლევები. მკურნალი ექიმის განმარტებით, ნაყოფის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება. პაციენტს მხოლოდ სახის არეში მცირედი დაჟეჟილობა აღენიშნება.

ოჯახის ერთ-ერთი წევრი, 60 წლის თამაზ გორგაძე, გარდაცვლილი იპოვეს.

**ნიუპოსტი**

# სასულიერო პირს ორიათასლარიანი გირაო შეეფარდა



მარიხუანის დათესვა-მოყვანა-კულტივირებაში ბრალდებულ სასულიერო პირს, გიორგი ჯახუას, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2 ათასი ლარის ოდენობით გირაო შეეფარდა.

ჯახუას ბრალი სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მესამე ნაწილით ედება, რაც მარიხუანის დათესვას, მოყვანასა და კულტივირებას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

რამდენიმე დღის წინ სასულიერო პირის სახლიდან პოლიციამ ორი ძირი კანაფი ამოიღო. ჯახუას განცხადებით, პოლიცია მის სახლში სასამართლო განჩინების გარეშე შევიდა.

სასულიერო პირის ინტერესებს „გირჩის" ადვოკატი ვალერი თევდორაძე იცავს.

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები", მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს"

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79, ტელ: 2 182 186**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996**
**მიწოდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე**
**ანგარიშის ნომერი: GE79BG0000000327063600 ი.ბ**

## მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

24-30 იანვარს საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „ნინოწმინდა", „სარფი", „სადახლო-საავტომობილო" და „ყაზბეგი" მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, ქვეყანაში უკანონოდ, არადეკლარირებული სიგარეტის (ჯამში, 12.200 ღერი) შემოტანის ფაქტები აღიკვეთა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი, სამ შემთხვევაში ასევე – სატრანსპორტო საშუალება და სანქციის სახით თითოეულს შეეფარდა ფულადი ჯარიმა 1000-1000 ლარის ოდენობით.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

# ჰილარი კლინტონი წიგნის დაწერას აპირებს



აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ჰილარი კლინტონი წიგნის დაწერას აპირებს. ეს იქნება ესეების ციკლი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებს ეძღვნება.

– წიგნის გამოქვეყნება ამა წლის შემოდგომისთვისაა მოსალოდნელი, – განუცხადა ჟურნალისტებს ჰილარიმ.

# შეტაკებები ბუქარესტში





რუმინეთის დედაქალაქში ანტისამთავრობო აქციები მიმდინარეობს. მანიფესტანტები მთავრობის გადაყენებას მოითხოვენ. უკანასკნელი აქციის დროს დემონსტრანტების რიგებში მყოფმა ფეხბურთის ფანებმა პოლიციას პეტარდები დაუშინეს. პასუხად ძალოვნებმა ცრემლმდენი გაზი გამოიყენეს.

შედეგად დემონსტრანტების უმრავლესობამ იქაურობა დატოვა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აქციები განახლდება.

რუმინეთში სიტუაცია სულ უფრო იძაბება.

# საუდის პრინცმა თვითმფრინავი მიმინოებით გაავსო



ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ათეულობით მიმინოა აღბეჭდილი, რომლებიც ჩვეულებრივი სამგზავრო თვითმფრინავის სალონით მგზავრობენ.

სურათი თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურმა გადაიღო. პოსტის ავტორი ამტკიცებს, რომ ავიაბილეთები 80 მონადირე ფრინველისთვის საუდის პრინცმა შეიძინა.

მიმინოებს სალონის შუა ადგილზე მდებარე სავარძლების დიდი უმრავლესობა აქვთ დაკავებული. იმისთვის, რომ ფრინველები არ შეწუხებულიყვნენ, მათ თვალები თავზე ჩამოცმული სპეციალური თავსაბურავით აქვთ დაფარული.

სხვა ინტერნეტმომხმარებლები აღნიშნავენ, რომ ეს არც ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის რეისებზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ტრამპი: „მე არ ვუყურებ სიენენს, არ მიყვარს ცრუ ახალი ამბები“



– მე არ ვუყურებ სიენენს, მე არ მიყვარს ცრუ ახალი ამბები, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „შავკანიანთა ისტორიის თვესთან“ დაკავშირებულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

– თქვენ ყველამ წაიკითხეთ მარტინ ლუთერ კინგზე გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაცია, როდესაც ვილაცამ განაცხადა, რომ თურმე მე მისი ქანდაკება თეთრ სახლში ჩემი კაბინეტიდან გამიტანია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სიცრუე იყო. არავის უხლია ხელი მარტინ ლუთერ კინგის ქანდაკებისთვის. ვფიქრობ, ეს სამარცხვინო საქციელი იყო. მაგრამ, ასეთია პრესა და ეს ძალიან სამწუხაროა, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

მან მადლობა გადაუხადა ტელეარხ ფოქსს, რომელიც, მისი თქმით, მას კარგად ეპყრობოდა.

– ფოქსი მე ძალიან კარგად მეპყრობოდა და მადლობა მას, – დასძინა დონალდ ტრამპმა.

# რექს ტილერსონი სახელმწიფო მდივანი გახდა

სენატმა სახელმწიფო მდივნის პოსტზე რექს ტილერსონის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

რესპუბლიკელებმა, მათ შორის სენატორმა მაკეინმაც, ხმა ტილერსონს მისცეს. დემოკრატები ამას წინ აღუდგნენ. გაიმართა ცხარე დებატები. ტილერსონმა ხმების საჭირო უმრავლესობა მოაგროვა.

რექს ტილერსონი მსხვილი ბიზნესმენია. მისი კომპანია წლების განმავლობაში რუსეთში ბიზნესს ეწეოდა. ვლადიმერ პუტინმა ის ხალხთა მეგობრობის ორდენითაც დააჯილდოვა. მიუხედავად ამისა, ტილერსონი ხაზს უსვამს, რომ საბრძოლველად არის განწყობილი.



– რუსეთი ჩვენთვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს. ეს ფაქტია, მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ მასთან დიალოგი აუცილებელია. ხაზს ვუსვამ, დიალოგი და არა დათმობა, – განაცხადა მან.

ტილერსონმა თანაპარტიელებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რუსეთისთვის სანქციების მოხსნის წინააღმდეგია.

# პოლონეთი რუსეთს ჰააგის სასამართლოში უჩივლებს



პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაშჩიკოვსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი რუსეთს ჰააგის სასამართლოში უჩივლებს.

მიზეზი სმოლენსკის კატასტროფა და პრეზიდენტ კაჩინსკის დაღუპვაა.

– ჩვენი იურისტები სარჩელს უკვე ამზადებენ, – თქვა ვაშჩიკოვსკიმ.

# არგენტინაში დამსვენებლებმა ტალღებიდან ადამიანების გამოსახსნელად ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს

არგენტინის ქალაქ მონტე-ერმოსოს პლაჟზე დამსვენებლებმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს სამი მოცურავის გადასარჩენად, რომლებიც მაღალი ტალღებისა და წყალქვეშა უკუდინების გამო ნაპირზე გამოსვლას ვერ ახერხებდნენ.

ზღვაში აღმოჩენილი ადამიანების გადარჩენას პროფესიონალი მაშველები შეეცადნენ, მაგრამ მათ ადგილამდე მიღწევა ვერ შეძლეს. ამის გამო წყლის ტყვეობაში აღმოჩენილთა დასახმარებლად დამსვენებლები შეიკრიბნენ. მათ ერთობლივი ძალისხმევით შეძლეს სამი მოცურავის წყლიდან ამოყვანა, რასაც რვა წუთი მოანდომეს.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჯეიმს მატისი იაპონიასა და სამხრეთ კორეას ეწვევა





აშშ-ის ახალი თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისი იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გაემგზავრება. ის ამ ქვეყნების პირველ პირებს შეხვდება.

– იაპონია და სამხრეთ კორეა ჩვენი უახლოესი მოკავშირენი არიან. მსურს, მათ ხელმძღვანელებს გავეცნო, გავიგო, რა აწუხებთ, – თქვა მატისმა.

# რუსეთმა ბელარუსის საზღვარზე სასაზღვრო ზონა შექმნა

ფსბ-ს დირექტორ ბორტნიკოვის ბრძანებით, ბელარუსის საზღვარზე სასაზღვრო ზონა შეიქმნა.

თავად ბორტნიკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– სახელმწიფო საზღვრების გარეშე სახელმწიფო არ არის. ჩვენ ჩვენს საზღვრებზე ვზრუნავთ.

უკრაინელ ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, სასაზღვრო ზონის შექმნით პუტინმა ლუკაშენკოს გარკვეული სიგნალი გაუგზავნა.



რუსეთის პრეზიდენტი თავისი ბელარუსი კოლეგის საქციელით უკმაყოფილოა. ლუკაშენკომ ევროკავშირის რიგი ქვეყნების მოქალაქეებს ბელარუსში უვიზოდ შესვლის უფლება მისცა, ამას გარდა, საჯაროდ განაცხადა, მოძმე უკრაინელი ხალხი დამოუკიდებლობისთვის იბრძვისო. მართალია, იქვე დაამატა, ჩვენ ამ გზით არ წავალთო, მაგრამ რუსეთში მისი საქციელი აშკარად არ მოეწონათ.

– ბელარუსის კეთილდღეობა იმაზე იყო დამყარებული, რომ რუსეთი მას აჭმევდა და ასმევდა. პუტინმაც ლუკაშენკოს აგრძნობინა, რომ, თუ კარგად არ მოიქცევა, პრივილეგიებსაც ბოლო მოეღება, – ამბობს პორტნიკოვი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# გრიზმანი მანჩესტერისკენ მიიწევს, იუვენტუსს სანჩისი უნდა

ფრანგული მედიის ცნობით, მანჩესტერ იუნაიტედმა მადრიდის ატლეტიკოს თავდამსხმელ ანტუან გრიზმანთან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია და ზაფხულში შეიძენს.

მიუხედავად იმისა, რომ იუნაიტედს ჯერ მადრიდულ კლუბთან შეთანხმებისთვის არ მიუღწევია, გრიზმანს „ოლდ ტრაფორდზე" გადასვლა ნამდვილად სურს და ამის სანაცვლოდ წელიწადში 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

ატლეტიკოს პრეზიდენტმა ენრიკე სერესომ მზადყოფნა გამოხატა გრიზმანის შესანარჩუნებლად ბრძოლისათვის და მანვე დაადასტურა, რომ იუნაიტედი ერთ-ერთი კლუბია მრავალთა შორის, რომელთაც ფრანგის შეძენა სურთ.



თუმცა, ატლეტიკო სრულიად უძლური იქნება, თუკი გამოჩნდება გუნდი, რომელიც გრიზმანის გამოსასყიდ თანხას, 100 მილიონ ევროს, ანუ 85 მილიონ გირვანქას გადაიხდის.

თავდამსხმელს, რომელსაც „ოლდ ტრაფორდზე" 7-ნომრიან მაისურს მისცემენ, ახლო ურთიერთობა აქვს იუნაიტედის ნახევარმცველ პოლ პოგბასთან და ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნება 25 წლის ფეხბურთელის გადაბირებისა.

პრეზიდენტისგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ატლეტიკოს მთავარ მწვრთნელ დიეგო სიმეონეს, რომელმაც განაცხადა, რომ კოპა დელ რეის ნახევარფინალში ბარსელონასთან მისი გუნდის ერთადერთი გოლის ავტორს გუნდში იძულებით არ გააჩერებს.

თავის მხრივ, კლუბის დატოვებას აპირებს სიმეონეც, რომელმაც გასულ სექტემბერს უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და ატლეტიკოსთან კონტრაქტის ვადა 2 წლით შეამცირა. ეს ფაქტი კი კიდევ ერთი მიზეზი იქნება იმისა, რომ გრიზმანი კლუბს შეიცვლის.

ზაფხულის ტრანსფერებისთვის ემზადება ტურინის იუვენტუსიც.

როგორც ჩანს, „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობა თვლის, რომ სერიას ა-ს მიმდინარე შემადგენლობითაც უპრობლემოდ მოიგებს, ხოლო ზაფხულში სუპერვარსკვლავების შეძენას შეეცდება.

მასიმილიანო ალეგრი ახალი სეზონისთვის გამოცდილ და ხარისხიან კადრებს ეძებს. ტურინელები კვლავ აგრძელებენ ალექსის სანჩესზე ოცნებას, რომელიც ახალ, 4-2-3-1 ტაქტიკას იდეალურად მოერგებოდა.

შეგახსენებთ, რომ ჩილელ შემტევს ჯერ კიდევ არ გაუხანგრძლივებია ლონდონის არსენალთან კონტრაქტი.

კიდევ ერთი სამიზნე მარკო ვერატი იქნება, რომელსაც ადრე თუ გვიან საფრანგეთის დატოვება აქვს გადაწყვეტილი, ზაფხულში კი იუვენტუსს მისი ხელში ჩაგდების შესაძლებლობა აუცილებლად მიეცემა.

# დევისის თასზე საქართველო ფინეთს უმასპინძლებს




დღეიდან, 5 თებერვლის ჩათვლით, საქართველო დევისის თასის გათამაშების მეორე ევროაფრიკული ზონის წარმომადგენელ ფინეთის ნაკრებს უმასპინძლებს. გუნდები თბილისის ოლიმპიურ სპორტის სასახლეში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ორივე გუნდი მონდომებით ემზადება მატჩისთვის. ერთია, თუ საქართველო ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდება მეტოქეს, სკანდინაველები თბილისში შესუსტებული შემადგენლობით ჩამოვიდნენ: სუომელებს არ ჰყავთ ბოლო დროის ერთი გამოჩენილი ჩოგბურთელი იარკო ნიემინენი და ამჟამინდელი ლიდერი, 26 წლის ჰენრი კონტინენი, რომელიც წყვილთა რეიტინგში მეხუთეა. აქედან გამომდინარე, ფავორიტები მასპინძლები არიან.

ფინელები, პირველ რიგში, ნიკოლოზ ბასილაშვილს უფრთხიან და აცხადებენ, რომ მათთვის ყველაზე რთული მეტოქე იქნება, თუმცა, უიმედოდ არ არიან ჩამოსულნი და პირველი ზონის საგზურისათვის ბრძოლა სწყურიათ.

ცხადია, გამარჯვების იმედი აქვთ მასპინძლებსაც. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა დავით კვერნაძემ, იმის გამო, რომ სტუმრებს კონტინგენტი არ ეყოლებათ, ფინელებთან მატჩში საკუთარი გუნდის შესაძლებლობები უფრო მაღლა დააყენა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში 2 ახალგაზრდა მოთამაშე გვყავს – 17 წლის ზურა ტყემალაძე და 18 წლის ვაჟა შუბლაძე, მთავარი იმედი ბასილაშვილია. საერთაშორისო ტურნირებში პაექრობის კარგი გამოცდილება აქვს გიორგი ცივაძესაც.

იმედიანადაა ნაკრების ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც მეტოქეთა შანსებს 70/30-ზე აფასებს მასპინძელთა სასარგებლოდ.

**ნიკოლოზ ბასილაშვილი:**

– ერთი კვირაა, თბილისში ვარ და გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ბიჭები კარგ ფორმაში არიან. საკუთარი გულშემატკივრების წინაშე სათამაშოდ მოტივაცია არ გვაკლია. ფინელების დასამარცხებლად ყველაფერს გავაკეთებთ.

გამარჯვებული გუნდი პირველ ზონაში ალსაზევებლად ლიტვა-მადაგასკარს შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას, ხოლო წაგებული ზონაში დასარჩენად ზემოაღნიშნულ მატჩში დამარცხებულს გაუწევს მეტოქეობას.

# ფილიპ ლამი: „ფეხბურთი მიყვარს. ოჯახიდან შორს ყოფნა არ მომწონს"

მიუნხენის ბაიერნის კაპიტანი ფილიპ ლამი აცხადეს, რომ მისთვის ბოლო სეზონი მიმდინარეობს და ზაფხულში კარიერას დაასრულებს. მიუხედავად ამისა, 33 წლის ასაკში თითოეულ ვარჯიშზე ბოლომდე იხარჯება, ცდილობს, უფრო უკეთესი გახდეს და თვლის, რომ ეს მის კაპიტნურ მოვალეობებში შედის.



***– ფილიპ თუ გახსოვს შენი პირველი ვარჯიში პროფესიონალურ გუნდში?***

– ძალიან კარგად. ეს ოტმარ ჰიტცფელდის ხელმძღვანელობის დროს მოხდა, ზაფხულში ტეგერნზეში. მაშინ ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ ძირითადი გუნდის ვარჯიშებზე გამომიძახეს. ჩემთვის ეს განსაკუთრებული გამოცდილება გახლდათ. ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო.

***– ახლა უფრო დიდ სიამოვნებას იღებ ამგვარი შეკრებებით, ვიდრე ეს კარიერის დასაწყისში იყო?***

– სიმართლე რომ გითხრათ, კი. მაშინ ჩვენ ძალიან ბევრს დავრბოდით ბურთის გარეშე. მახსოვს, გაღვიძებისთანავე დილის 7 საათზე სარბენად გავდიოდით, შემდეგ კიდევ 2 ვარჯიში გვქონდა. დღეს ჩვენ მეტად ინტენსიურად ვმუშაობთ, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის ყოველთვის ბურთთან ერთად. ბევრი რამ შეიცვალა, ერთის გარდა – არ მომწონს სახლიდან და ოჯახიდან შორს ყოფნა.

***– რა რჩევის მიცემა შეგიძლია იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ახლა გუნდთან ერთად იმყოფებიან?***

– უბრალოდ, მაქსიმუმამდე უნდა დაიხარჯონ. თითოეულ დღეს 100 პროცენტით. ისინი ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ. ეს კი შესანიშნავი შესაძლებლობაა საკუთარი თავის წარმოჩენისა და გამოცდილების დაგროვების. ეს დღეები მათ დიდ შედეგს მოუტანთ.

***– პირადად შენთვის რა შეიცვალა წინა წლებთან შედარებით?***

– პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია, ბოლომდე დავიხარჯო, წინ წავიწიო და თითოეული სავარჯიშო მატჩი მოვიგო. ასე ხდებოდა ადრეც და ახლაც. ეს ჩემს კაპიტნურ მოვალეობებში შედის. აღდგენითი პროცედურები შეიცვალა. ჩემი კარიერის პირველ წლებში ახალგაზრდა ფეხბურთელები დიდი მონდომებით არ მიდიოდნენ მასაჟის პროცედურებზე. ჩემს ასაკში კი ასეთი პროცედურები მეტად მნიშვნელოვანია.

***– უკვე ნახევარი წელია, რაც კარლო ანჩელოტის მეთაურობით ვარჯიშობ. რა სხვაობაა?***

– ვარჯიშებში დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. როგორც პეპ გვარდიოლას დროს ბურთი კვლავ ყურადღების ცენტრშია. თანამედროვე ფეხბურთში ეს ნორმალურია. თუმცა, კარლო ანჩელოტიმ თავისი ხასიათი შემოიტანა. თითოეულ მწვრთნელს თავისი სტილი გააჩნია.

***– რამდენად რთული აღმოჩნდა კარლო ანჩელოტის სტილზე გადართვა?***

– ნებისმიერი მწვრთნელის შეცვლისას ადაპტაციისათვის დროა საჭირო. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ყველაფერი მწყობრში დგება. ჩვენ ერთად ვიმყოფებოდით ზაფხულში ამერიკის შეერთებულ შტატებში და კარგად გავიცანით ერთმანეთი. ევროპის ჩემპიონატის გამო ფეხბურთელები თანდათანობით უერთდებოდნენ გუნდს და ვარჯიშებს, ჩვენთვის ეს დიდი გამოწვევა გახლდათ.

***– პირველ წრეში თქვენ 2 განსხვავებული სქემით თამაშობდით – 10 ნომრით და მის გარეშე. როგორ აპირებს გუნდი მომავალში თამაშს?***

– ეს კარგია, რომ სხვადასხვა სქემით შეგვიძლია თამაში. პირველ წრეში ჩვენ ზოგჯერ 3 ცენტრალური ნახევარმცველით ვთამაშობდით, ზოგჯერ კი 2 ცენტრალური საყრდენით და 1 შემტევით, ზოგჯერ 4-4-2-ით. სქემის ეფექტურობა დამოკიდებულია მოწინააღმდეგესა და იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც გუნდის განკარგულებაში არიან.

***– ადვილია თქვენთვის ერთი სქემიდან მეორე სქემაზე გადართვა?***

– თითოეულ სქემას მუდმივად სჭირდება დამუშავება. თუ ჩვენ დღეს 4 მცველით ვითამაშებთ და ხვალ 3-მცველიან სქემაზე გადავერთვებით, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება. ავტომატიზმზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

***– ადრე ამბობდით, რომ საჭიროა „მიქსზე" მუშაობა. რა გქონდათ მხედველობაში?***

– ბოლო წლებში ჩვენ ბურთის კონტროლზე ვთამაშობდით. როდესაც მოწინააღმდეგე ფლობდა ბურთს, მაშინ აქტიურ პრესინგს მივმართავდით, რომ რაც შეიძლება სწრაფად აგვერთმია ბურთი. კარლო ანჩელოტის ხელმძღვანელობით უფრო ფრთხილად ვთამაშობთ – მაგრამ ჩვენ თავიდან მოგვიწია ამის სწავლა და შეჩვევა.

როდესაც მოწინააღმდეგე ჩვეულზე დიდხანს ფლობდა ბურთს, მაშინ მოუსვენრად ვიწყებდით თამაშს, რადგან ასეთ სიტუაციას არ ვიყავით მიჩვეულნი. უნდა ვისწავლოთ ჩვენი საქციელის გაერთიანება: ვიყოთ აგრესიულები, უკან დავიწიოთ, როდესაც ეს საჭიროა, შევძლოთ ბურთის გარეშე თამაში და სწრაფად გავიდეთ კონტრშეტევებზე. ამაზე ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

***– მოდით, სატურნირო ცხრილს გადავხედოთ: ბაიერნის მდევრები არა დორტმუნდი და გლადბახი, არამედ ლაიფციგია.***

– დორტმუნდს შესანიშნავი გუნდი ჰყავს, მაგრამ პირველ წრეში რამდენიმე ქულა დაკარგეს, რაც ჩემთვის სიურპრიზი გახდა. მაგრამ წინ დიდი გზა გვაქვს. ვფიქრობ, მალე გასაგები გახდება, ვის რა შეუძლია.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ლივერპულის გულშემატკივრები კლოპზე განაწყენდნენ

არეულობაა ლივერპულის გულშემატკივრებს შორის. არის ჯგუფი, რომელსაც გერმანელ სპეციალისტ იურგენ კლოპის მუშაობა არ მოსწონს.



გერმანელ სპეციალისტს მართლაც რთული პერიოდი დაუდგა, გუნდი ერთმანეთის მიყოლებით დამარცხდა სათასო მატჩებში და გათამაშებებს ჩამოშორდა.

– კლოპი არ არის ჩვენი გუნდისთვის შესაფერისი. ის უნდა წავიდეს, რადგან არ არის ტიტულების მომგები. მან დორტმუნდში 3 ფინალი წააგო და ლივერპულში უკვე 2 ფინალი მიაყოლა. ამას ნახევარფინალში მარცხიც დაემატა. გუნდს არ აქვს რესურსი, რომ ძირითადის ფეხბურთელები ღირსეულად შეცვალოს. ამდენი ხანი დაცვის პრობლემაც ვერ მოგვარდა, მინიოლე და კარიუსი საკმარისი არ არის. ლივერპული ტიტულებისთვის მებრძოლი გუნდია და შესაფერისი მწვრთნელი სჭირდება. კლოპს არ შეუძლია ტიტულების მოგება და სწორედ ამიტომ კლუბში შემდეგ წელს დიეგო სიმეონე უნდა მოვიდეს, – ამბობენ ქომაგები.

კლოპს ისღა დარჩენია, რომ გულშემატკივართა ამ ნაწილს საკადრისად უპასუხოს გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგით და გააქარწყლოს ეჭვები იმის შესახებ, რომ ის გუნდისთვის ტიტულების მომტანი არ არის.

# შედეგები

**1 თებერვალი**
**ფეხბურთი**
**აფრიკის ერთა თასი**

ბურკინა ფასო-ეგვიპტე ........ 1:1(3:4პ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-სიტი ............................ 0:4
მანჩესტერი-ჰალი ......................... 0:0
სტოკი-ევერტონი ........................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 23 | 18 | 2 | 3 | 48-16 | 56 |
| 2.ტოტენჰემი | 23 | 13 | 8 | 2 | 45-16 | 47 |
| 3.არსენალი | 23 | 14 | 5 | 4 | 51-25 | 47 |
| 4.ლივერპული | 23 | 13 | 7 | 3 | 52-28 | 46 |
| 5.სიტი | 23 | 14 | 4 | 5 | 47-28 | 46 |
| 6.მანჩესტერი | 23 | 11 | 9 | 3 | 33-21 | 42 |
| 7.ევერტონი | 23 | 10 | 7 | 6 | 34-24 | 37 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 23 | 9 | 6 | 8 | 31-29 | 33 |
| 9.სტოკი | 23 | 7 | 8 | 8 | 29-35 | 29 |
| 10.ბარნლი | 23 | 9 | 2 | 12 | 25-33 | 29 |
| 11.ვესტ ჰემი | 23 | 8 | 4 | 11 | 29-40 | 28 |
| 12.საუთჰემპტონი | 23 | 7 | 6 | 10 | 23-28 | 27 |
| 13.უოტფორდი | 23 | 7 | 6 | 10 | 27-39 | 27 |
| 14.ბორნმუთი | 23 | 7 | 5 | 11 | 32-41 | 26 |
| 15.მიდლსბრო | 23 | 4 | 9 | 10 | 19-26 | 21 |
| 16.ლესტერი | 23 | 5 | 6 | 12 | 24-38 | 21 |
| 17.სუონსი | 23 | 6 | 3 | 14 | 28-52 | 21 |
| 18.კრ.პალასი | 23 | 5 | 4 | 14 | 32-41 | 19 |
| 19.ჰალი | 23 | 4 | 5 | 14 | 20-47 | 17 |
| 20.სანდერლენდი | 23 | 4 | 4 | 15 | 20-42 | 16 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლექბერნი-ლიდსი ......................... 1:2
ბარტონი-ფულემი .......................... 0:2
ნიუკასლი-ქპრ ............................. 2:2

**იტალია. სერია ა**

პესკარა-ფიორენტინა ..................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 21 | 17 | 0 | 4 | 44-16 | 51 |
| 2.რომა | 22 | 15 | 2 | 5 | 44-21 | 47 |
| 3.ნაპოლი | 22 | 13 | 6 | 3 | 48-25 | 45 |
| 4.ინტერი | 22 | 13 | 3 | 6 | 37-23 | 42 |
| 5.ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 35-25 | 40 |
| 6.ატალანტა | 22 | 12 | 3 | 7 | 34-25 | 39 |
| 7.ფიორენტინა | 22 | 10 | 7 | 5 | 38-29 | 37 |
| 8.მილანი | 21 | 11 | 4 | 6 | 32-26 | 37 |
| 9.ტორინო | 22 | 8 | 7 | 7 | 39-32 | 31 |
| 10.უდინეზე | 22 | 8 | 4 | 10 | 27-29 | 28 |
| 11.კიევო | 22 | 8 | 4 | 10 | 22-30 | 28 |
| 12.ბოლონია | 21 | 7 | 6 | 8 | 21-26 | 27 |
| 13.სამპდორია | 22 | 7 | 6 | 9 | 25-29 | 27 |
| 14.კალიარი | 22 | 8 | 3 | 11 | 32-46 | 27 |
| 15.ჯენოა | 22 | 6 | 7 | 9 | 27-32 | 25 |
| 16.სასუოლო | 22 | 7 | 3 | 12 | 31-37 | 24 |
| 17.ემპოლი | 22 | 5 | 6 | 11 | 13-30 | 21 |
| 18.კროტონე | 21 | 3 | 4 | 14 | 20-37 | 13 |
| 19.პალერმო | 22 | 2 | 5 | 15 | 18-42 | 11 |
| 20.პესკარა | 22 | 1 | 6 | 15 | 17-44 | 9 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-აბერდინი ....................... 1:0
ჰარტსი-რეინჯერსი ........................ 4:1
პარტიკი-სტ.ჯონსონი ..................... 0:1

**ბელგია. თასი**

ეუპენი-ვარეგემი ........................... 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ირაკლისი-კერკირა ........................ 0:0
ლარისა-პაოკი .............................. 0:2

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა უნდა ვიცოდეთ ქიმიოთერაპიის შესახებ

ეკა ირემაშვილი

ქიმიოთერაპია სიმსივნის მედიკამენტური მკურნალობის მეთოდია. მისი მიზანია, გაანადგუროს სწრაფად მზარდი ავთვისებიანი უჯრედები. რა არის ქიმიოთერაპია, რა უპირატესობა აქვს მას და როდის ინიშნება ქიმიოთერაპიის კურსი? – ამ თემაზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ქირურგიის დეპარტამენტის ონკოლოგიის მიმართულების ექიმი ქიმიოთერაპევტი ირინე ხუბუა საუბრობს.



**ირინე ხუბუა:**

– ოპერაციისა და სხივური თერაპიისგან განსხვავებით, მისი მოქმედება სისტემურია, ანუ ქიმიოთერაპია ანადგურებს სიმსივნურ უჯრედებს როგორც ადგილობრივად, ასევე მთელი ორგანიზმის მასშტაბით. სიმსივნის საწინააღმდეგო წამლებს უწოდებენ აგრეთვე ციტოტოქსიკურს (უჯრედის მომწამვლელს), ციტოსტატიკურს (უჯრედის გაყოფის შემაჩერებელს). ონკოლოგიურ პრაქტიკაში ქიმიოთერაპია მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ასევე კომპლექსურად ოპერაციულ, სხივურ, იმუნო და ჰორმონოთერაპიასთან ერთად.

***– რა უპირატესობა აქვს ქიმიოთერაპიულ მკურნალობას?***

– ძირითადად ქიმიური პრეპარატები უშუალოდ სისხლის მიმოქცევის სისტემაში შეჰყავთ. სიმსივნის საწინააღმდეგო სხვა მეთოდებთან შედარებით, რიგ შემთხვევაში სწორედ ეს იძლევა უპირატესობას. ქირურგიული ან სხივური თერაპიის დროს ხშირად ვერ ხერხდება ყველა სიმსივნური უჯრედის მოცილება. მათი მოქმედება მიმართულია ერთი კონკრეტული ადგილისკენ. ეს იმით აიხსნება, რომ სიმსივნური უჯრედების გარკვეული ჯგუფი შესაძლოა მოშორდეს პირველად სიმსივნეს და სისხლის მიმოქცევის სისტემის მეშვეობით მოხვდეს ორგანიზმის ამა თუ იმ ნაწილში, სადაც შემდგომ დაიწყებს ზრდას და წარმოქმნის მეორეულ სიმსივნეს – მეტასტაზს. ვინაიდან ქიმიური პრეპარატები გადაადგილდება იმავე გზით, მათ შეუძლიათ დაშალონ ან დააზიანონ ეს უჯრედები ან მეორეული სიმსივნეები ორგანიზმის ნებისმიერ უბანში.

***– როდის ინიშნება ქიმიოთერაპიის კურსი?***

– მკურნალობა ციტოსტატიკური აგენტებით რეკომენდებულია: ნეოადიუვანტურ რეჟიმში – სიმსივნის მოცულობის შესამცირებლად, ადიუვანტურ რეჟიმში – ოპერაციის შემდგომ, რათა თავიდან ავიცილოთ ადგილობრივი და შორეული მეტასტაზირება, მეტასტაზურ რეჟიმში – სიმსივნური პროცესის შესაჩერებლად ან სიმსივნით გამოწვეული სიმპტომების, მაგალითად, სიმსივნის ზეწოლით გამოწვეული ტკივილის, ინტოქსიკაციის და სხვა, შესამსუბუქებლად.

***– რამდენად ეფექტურია ქიმიოთერაპია?***

– ქიმიოთერაპიის ეფექტურობა დამოკიდებულია კიბოს ტიპზე, მდებარეობაზე, განვითარების სტადიაზე, ავადმყოფის საერთო მდგომარეობაზე და სხვა. არსებობს კიბოს რამდენიმე ტიპი, რომლებიც მხოლოდ ქიმიოთერაპიით იკურნება, მაგრამ ავთვისებიანი სიმსივნეების უმეტეს შემთხვევაში ეს შეუძლებელია. ამ დროს ქიმიოთერაპია ტარდება სიმსივნის ზრდის შესაჩერებლად ან სიმსივნით გამოწვეული სიმპტომების შესამსუბუქებლად. ქიმიოთერაპიის ნაკლებ წარმატებული მოქმედება ამ შემთხვევებში განპირობებულია იმით, რომ სიმსივნურ უჯრედებს პრეპარატების მიმართ ჩამოუყალიბდათ მდგრადობა ან კიდევ ზოგიერთი კიბოს უჯრედი ქიმიოთერაპიის მიმართ თავიდანვე მდგრადია.

***– როგორ ხდება ქიმიური პრეპარატების შეყვანა?***

– სამი მეთოდით: სისტემურად, რეგიონულად და ლოკალურად, როგორც პერორალურად ანუ დალევით, ასევე ინტრავენურად ანუ ვენაში შეყვანით. ამ უკანასკნელი მეთოდის მიზანია აქტიური ქიმიური პრეპარატების უშუალოდ სისხლის მიმოქცევის სისტემაში მოხვედრა, რათა ქიმიური ნივთიერებები მივიდეს კიბოს უჯრედებამდე, სადაც არ უნდა მდებარეობდეს ისინი. ზოგჯერ ქიმიური პრეპარატები შეჰყავთ უშუალოდ ორგანიზმის სპეციფიკურ უბანში, მაგალითად, პირდაპირ კუჭში ან ზურგის ტვინის სითხეში. ამ მეთოდის მიზანია აღნიშნულ უბანში პრეპარატის მაქსიმალური კონცენტრაციის მიღწევა. ყველაზე მარტივი მეთოდია პრეპარატის მიღება პერორალურად, ტაბლეტების ან სითხის სახით, მაგრამ ეს მეთოდი ინექციასთან შედარებით ნაკლებსაიმედოდ მიიჩნევა, რადგან ამ დროს არ არსებობს იმის გარანტია, რომ წამლის დოზის მიღებისას ორგანიზმი შეიწოვს პრეპარატის ერთსა და იმავე რაოდენობას. ამიტომ პრეპარატის შეყვანის ყველაზე გავრცელებული გზა ინტრავენურია. ამ დროს პროცედურა ტარდება ვენური ინექციის ან წვეთოვანი სახით. პროცედურა აუცილებლად უნდა ჩატარდეს საავადმყოფოში სტაციონარულად ან ამბულატორიულად.

ქიმიოთერაპიის სიხშირე და ხანგრძლივობა მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, პაციენტს რომელი ორგანოს კიბო აქვს, რა მოცულობისა, რა მორფოლოგიური შენებისა, გავრცელების რა ხარისხისა, რა გავლენას ახდენს იგი ორგანიზმზე, როგორია ორგანიზმის საერთო მდგომარეობა და ა.შ. ასევე გასათვალისწინებელია, რა წამლების გამოყენებაა დაგეგმილი და რა შედეგები იქნება მიღებული უახლოეს პერიოდში. ქიმიოთერაპიის ხანგრძლივობა და ციკლურობა ასევე დამოკიდებულია წამლის შეყვანის გზებზე, სიჩქარესა და დოზაზე.

ჩვენთან ქიმიოთერაპიის განყოფილებაში ტარდება სოლიდური ავთვისებიანი სიმსივნეების მედიკამენტური მკურნალობა – ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნო და ტარგეტული თერაპია ნეოადიუვანტურ, ადიუვანტურ და პალიატიურ რეჟიმებში როგორც მონოთერაპიის, ისე პოლიქიმიოთერაპიის სახით. სიმსივნის ტიპის, დაავადების სტადიისა და პაციენტის ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით, მკურნალობა წარიმართება როგორც ამბულატორიულად, ასევე სტაციონარის პირობებში. მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად თითოეული პაციენტისათვის მულტიდისციპლინური მიდგომით, რაც გულისხმობს პაციენტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ერთობლივ მონაწილეობას.

***– რა უნდა გაითვალისწინოს პაციენტმა ქიმიოთერაპიის პროცედურამდე და პროცედურის შემდეგ?***

– სიმსივნის საწინააღმდეგო წამლებისთვის დამახასიათებელია სწრაფად გამრავლებადი უჯრედების განადგურების მიზნით მათზე ზემოქმედება. ორგანიზმში ყველაზე სწრაფად იზრდება და იყოფა კიბოს უჯრედები და სწორედ მათ ანადგურებენ ქიმიოთერაპიის საშუალებით. ეს პრეპარატები ასევე დამთრგუნველად, ოღონდ ნაკლებ უარყოფითად მოქმედებს ჯანსაღ უჯრედებზე. ყველაზე ხშირად ზიანდება სისხლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების უჯრედები, თმის ფოლიკულები და ასე შემდეგ. განასხვავებენ ქიმიოთერაპიის გვერდითი ეფექტების გამოვლენის 4 პერიოდს:

უახლესი პერიოდის გვერდითი მოვლენები – მკურნალობიდან I კვირის განმავლობაში. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, ტემპერატურული რეაქციები, მადის დაკარგვა, საერთო სისუსტე, დაღლილობა, გამონაყარი კანზე, გრიპისმაგვარი სიმპტომები.

მოგვიანებითი პერიოდის გვერდითი მოვლენები – I კვირის ბოლოდან III კვირამდე – ლეიკოციტებისა და თრომბოციტების დაკლება, ანემია და ამასთან დაკავშირებული პრობლემები, ინფექციების აღმოცენება და სისხლდენის რისკის მომატება, პირის ღრუსა და ლორწოვანი გარსის ანთებითი და წყლულოვანი პროცესები, ცვლილებები პერიფერიული ნერვული სისტემისა და სქესობრივი ფუნქციის მხრივ.

გადავადებული პერიოდის გვერდითი მოვლენები – მკურნალობიდან ერთი თვის შემდეგ – თმის ცვენა, იმუნიტეტის დაქვეითება, გართულებები გულის, ღვიძლისა და ფილტვების, ასევე სხვა ორგანოების მხრივ.

გადავადებული შორეული ეფექტი, რაც გამოიხატება რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მეორეული კიბოს აღმოცენებით, ძალზე იშვიათად.

ქიმიური პრეპარატების ტოქსიკურობა თითქმის ყველა შემთხვევაში დროებითი და მართვადი მოვლენაა. ადამიანის ორგანიზმს თავად აქვს უნარი, აღიდგინოს ანტისიმსივნური მკურნალობით მიყენებული ზიანი. ძალიან ბევრი პაციენტი ასეთ მკურნალობას ყოველგვარი პრობლემის გარეშე იტანს. ქიმიოთერაპიით დაზიანებული ჯანსაღი უჯრედების სწრაფად აღდგენაში, კვებისა და სპეციალური პრეპარატების გარდა, დაგეხმარებათ ექიმის მითითებების ზედმიწევნით შესრულება და ახლობლების თანადგომა. თქვენი მკურნალობა მიზანმიმართულია. ეს მოგცემთ საშუალებას, ოპტიმისტურად შეხედოთ ხვალინდელ დღეს და დროულად ჩაერთოთ ყოველდღიური ცხოვრების რიტმში.

## გარდაცვლილ ნიგერიელ ღვთისმსახურს 130 ცოლი და 203 შვილი დარჩა



ნიგერიაში გარდაიცვალა 93 წლის მუსლიმანი ღვთისმსახური მოჰამედ ბელო აბუბაკარი, რომელსაც, სხვადასხვა მონაცემით, 86-დან 130-მდე ცოლი ჰყავდა. ცნობილი მრავალცოლიანი ქალაქ ბიდში, რომელიც ნიგერიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, უამრავი ადამიანის თანდასწრებით მიაბარეს მიწას.

– მან გაგვაფრთხილა, რომ თავი უნდა ავარიდოთ გარყვნილ ცხოვრებას, მაგრამ შეგვიძლია, იმდენი ცოლი მოვიყვანოთ, რამდენსაც შევძლებთ, რადგანაც ეს ალაჰის თვალში კარგია, – განაცხადა ღვთისმსახურის თანაშემწე ალხაჯი მუტაირუ სალავუდინ ბელომ.

აღსანიშნავია, რომ ბელოს 2008 წლისთვის 86 ცოლი ჰყავდა და მას შემდეგ, ერთ-ერთი გამოცემის მონაცემებით, მათი რაოდენობა 130-მდე გაიზარდა. მას ასევე დარჩა 203 შვილი, მაგრამ უახლოეს ხანში, შესაძლოა, მათი რაოდენობა გაიზარდოს, ვინაიდან რამდენიმე ცოლი ჯერ კიდევ ფეხმძიმედაა.

## საფრანგეთში უფასო გაზიანი სასმელი აკრძალეს

საფრანგეთში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც საზოგადოებრივი კვების საწარმოებს უკრძალავს, მომხმარებლებს შესთავაზონ ფიქსირებულ ფასად ან უფასოდ ტკბილი გაზიანი სასმელი.

აკრძალვა მოქმედებს ხილის წვენებზე, გაზიან, ენერგეტიკულ, სპორტულსა და სხვა სასმელებზე, რომლებიც შაქარს შეიცავს.

ამიერიდან ყოველი ულუფა ცალკე ანაზღაურდება. ეს



უკანონოდ აქცევს თვითმომსახურების ავტომატების გამოყენებას, რომლებიც სწრაფი კვების რესტორნების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, უფასოდ მიიღონ შაქრის შემცველი სასმელები.

ახალი კანონი სიმსუქნესთან ბრძოლისკენაა მიმართული. ევროსტატის მონაცემებით, ზედმეტი წონისგან საფრანგეთის ზრდასრული მოსახლეობის 15,3 პროცენტი იტანჯება. აღსანიშნავია, რომ ეს ოდნავ ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, თუმცა სიტუაცია თანდათან უარესდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 3 თებერვლისთვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ დაქვეითებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. იკვებეთ სწორად. **კურო** – ნუ გადაიღლებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – საკუთარ შეცდომებს დაუკვირდით და გააანალიზეთ. დაეხმარეთ გაჭირვებულებს. **კირჩხიბი** – თქვენს სულიერ სიმშვიდეს არაფერი არღვევს. სერიოზული საქმით დაკავდით. **ლომი** – საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ახლობელ ადამიანთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება, რომელშიც თქვენც ჩაერთვებით. ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. ერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. **ღრიანკალი** – შემოქმედებით საქმიანობაში გიმართლებთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. გიმართლებთ როგორც სიყვარულში, ისე კარიერაში. ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და წინდახედულობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადეთ, სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. **მერწყული** – კარგად გამოიძინეთ, დაისვენეთ. სუფთა ჰაერზე სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **თევზები** – გაითვალისწინეთ გამოცდილი სპეციალისტის რჩევები. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების რისკი დიდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. რბილი ტყავისგან დამზადებული დაბალყელიანი ფეხსაცმელი ძველად საქართველოში; 2. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 3. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 4. მინერალური წყალი სამეგრელოში; 5. საფრანგეთის პრეზიდენტი; 6. ზამთრის კურორტი პოლონეთში; 8. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 10. ექიმის ერთ-ერთი სპეციალობა; 11. ზოგიერთი მოლუსკის სხეულის წარმონაქმნი ძვირფასი ქვა; 14. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 15. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 16. თეატრალური სცენის გასანათებელი მოწყობილობა.

**თარაზულად**: 1. ჭაობში ბინადარი სისხლისმწოველი ჭია; 4. ხერხემლის გამრუდება; 7. დადუღებული ყურძნის წვენი; 9. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 12. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 13. მუსლიმანთა კალენდარი; 14. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 17. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. პოლიტიკური ხასიათის, არალეგალური სააგიტაციო ფურცელი; 19. ხმადაბლა სიცილი; 20. გამცემლობა, ორგულობა, ვერაგობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰიტი; 8. ტარტუ; 3. იურტა; 4. გაუკი; 5. ოკრიბა; 6. კუბელიკი; 8. ივანიშვილი; 10. დუბროვნიკი; 11. ტარანტინო; 14. კოვბოი; 15. ულესი; 16. ტვიში.

**თარაზულად:** 1. ჰანტელი; 4. გეორგიკა; 7. ტიბრი; 9. ვარდი; 12. ბაიერი; 13. საუნა; 14. კვარცი; 17. ტვენტე; 18. ღვინობისთვე; 19. გიენოსი; 20. ბიზონი

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზაქათალა; 2. ზალპი; 3. დეპარდიე; 4. „იამაჰა“; 7. ცეისი; 9. სიმდი; 12. სტეფენსონი; 14. პლებეი; 15. იზაბელა; 17. ჰეზბოლა; 20. კრიკი.

**თარაზულად:** 5. საგურამო; 6. იკებანა; 8. ჰიპოგეა; 10. მასანდრა; 11. ილუზია; 13. ოპერეტა; 16. ვილჰელმი; 18. „მედეა“; 19. გარდა; 21. ტრიერი; 22. გლიპტიკა; 23. დუბლონი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## 76 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო ექიმი და მეცნიერი, მედიცინის დოქტორი
## ტატიანა ვართაპეტოვა



იგი დაიბადა 1940 წლის 11 ოქტომბერს ქ.თბილისში, ინჟინერთა ოჯახში. ოქროსმედალოსანი ნიჭიერი გოგონას მომავალზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა ბიძამ, გამოჩენილმა დერმატოლოგმა, პროფესორმა არკადი ვართაპეტოვმა. 1958 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1964 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო ბოლნისის დერმატო-ვენეროლოგად. 1966-67 წწ. მუშაობდა III და V კლინიკურ დისპანსერში დერმატო-ვენეროლოგად. 1966-68 წწ. გაიარა კლინიკური ორდინატურა კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტში. 1969 წლიდან 2009 წლამდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის დერმატოლოგიურ განყოფილებაში ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ-მუშაკად.

აქტიურად ეწეოდა სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობას. 1982 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 75 სამეცნიერო ნაშრომი. იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. სხვადასხვა წლებში ეწეოდა კურატორულ საქმიანობას საქართველოს რაიონებში. ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ აქტიური და წარმატებული საქმიანობისთვის 1994 და 2004 წლებში გამოცხადებული აქვს მადლობა; 1986 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმის წოდება. მუდმივად მუშაობდა თავისი პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებაზე. განსაკუთრებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა თანამშრომელთა შორის.

ქალბატონი ტანია ვართაპეტოვა საოცრად ნათელი პიროვნება იყო. პაციენტთათვის მას შეეძლო უანგაროდ, უშურველად, დაუზოგავად, დიდი სითბოთი და მაღალი პროფესიონალიზმით გაეწია უმაღლესი საექიმო სამსახური. იგი იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო, გაეთავისებინა მატერიალურ გასაჭირში მყოფი ადამიანის უმწეობა, მისი მძიმე სულიერი განწყობილება და უსასყიდლოდ, დიდი სითბოთი და თანადგომით გაეწია დახმარება.

43 წელი თავდაუზოგავად შრომობდა და საზოგადოებაში სახელოვანი ექიმისა და მეცნიერის ღირსეული სახელიც დაიმკვიდრა.

პენსიაზე გასვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ შვილის ხელით ინსტიტუტის დირექციისა და კოლეგების სახელზე წერილები გამოაგზავნა, სადაც ითხოვდა, საერთო კრებაზე წაკითხულიყო, რაც უნდოდა მათთვის ეთქვა.

„გისურვებთ მშვიდობას ოჯახებსა და ქვეყანაში, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს, კვალიფიკაციის მუდმივ ზრდას, ავადმყოფებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას, ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას. დიდი მადლობა თქვენ ყველაფრისათვის – ყურადღებისათვის, გულისხმიერებისათვის, სიყვარულისათვის. თუ რომელიმე თქვენგანს ოდესმე რამეში გამოვადგები, გულითა და სულით ვემსახურები. დიდი სიყვარულით, პატივისცემით, მადლიერებითა და კეთილმოსურნეობით ტატიანა ვართაპეტოვა“.

კოლექტივთან კავშირი და მეგობრობა არც არასდროს შეუწყვეტია კეთილშობილ ქალბატონს. სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად ასრულებდა ექიმის მოვალეობას და ეხმარებოდა გაჭირვებულებს, თავად შეუძლოდ მყოფი. ამქვეყნიდან წავიდა ღირსეული და ღვაწლმოსილი. მისი განვლილი ცხოვრება ყოველთვის სამაგალითო იქნება მომავალი თაობებისათვის. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ქვეყნის სამედიცინო საზოგადოებასა და თანამშრომლებს შორის.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

**კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი**

**საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაცია**

---

და ზაირა ქირთბაია, დისშვილები შორენა დავითაია, პავლე და გიორგი საპანაძეები, სიძე ზურაბ თოფურია, რძლები მაკა მაჩიტაძე, თამთა ბაძგარაძე, შვილიშვილები თამარ, მარიამ, დავით, გიორგი ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი პიროვნების

**მზია იპოლიტეს ასულ ქირთბაიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 3, 4 თებერვალს, 17 საათზე;

დაკრძალვა: კვირას, 5 თებერვალს, 15 საათზე, სოფელ ოტობაიაში.

---

ლეიბორისტული პარტია მწუხარებას გამოთქვამს პარტიის წევრის გიორგი ძიძიგურის ბაბუის

**გურამ გვერდწითელის**

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ქეთა თოფურიას ჭორებს უვრცელებენ




„ა სტუდიოს“ სოლისტი ქეთა თოფურია უკვე შეეჩვია, რომ მის მიმართ ინტერესი არასდროს ნელდება და ამიტომაც გავრცელებულ ჭორებს სიმშვიდით ხვდება.

ამჯერად ქეთა რუსული პრესის ყურადღების ქვეშ რეპერ გუფის – ალექსეი დოლმატოვის გამო მოექცა. როგორც რუსული გამოცემები იუწყებიან, ქართველი მომღერალი რეპერთან ერთად ტაილანდში ისვენებდა. ამის დასტურად ისინი ფოტოსავრცელებენ და ირწმუნებიან, რომ მათ შორის რომანია.

ქეთა თოფურიას პიარმენეჯერმა ამ ინფორმაციას სრული სისულელე უწოდა. მისი თქმით, ამ ინფორმაციის გაჟღერებით ქეთა თოფურიას, როგორც გათხოვილი ქალის გალიზიანება სურთ.

– ქეთას ქმართან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს, – განაცხადა მომღერლის მენეჯერმა.

თავად ქეთამ ჟურნალისტების გაცხოველებული ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით გაითვალისწინა და ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ქმარს ჯერ არ დავშორებივარ, ხოლო გუფთან და ჯგუფ ცენტერთან უკვე დიდი ხანია, ჯერ კიდევ საერთო სიმღერის ჩაწერამდე ვმეგობრობდი. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებით. ერთად არ ვისვენებდით და ფოტოებზე მე არ ვარ.

გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა გუფის ყოფილი მეუღლე, მომღერალი აიზა ანოხინა:

– ყოფილ ქმართან ხშირი ურთიერთობა მიწევს, რადგან გუფი ბავშვს ხვდება. მისი ახალი ურთიერთობების შესახებ ჯერ არ გვისაუბრია, მაგრამ ბედნიერებას ვუსურვებ მათ და, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ექნებათ.

გუფის წარმომადგენელმა კი გავრცელებული ინფორმაცია არც დაადასტურა და არც უარყო.

# შოთა გლურჯიძე: „ვაფრთხილებ მიხეილ გიორგაძეს!“



მხატვარი შოთა გლურჯიძე თეატრებისთვის სადადგმო ხარჯების გაუქმებას აპროტესტებს და კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძეს აფრთხილებს:

– თეატრებისათვის სპექტაკლების სადადგმო ხარჯები გაუუქმებია „ფიზ-კულტურის“ სახელოვან მინისტრს. ეტყობა, „ოდეს-ტურფასგან“ მიიღო ახალი დირექტივები. საინტერესოა, მისი აზრით, თეატრი ახალ სპექტაკლებს თუ არ დადგამს, რისთვისაა ეს უცნაური „დაწესებულება“ მაშინ?

თეატრალურმა კულტურამ არ გაამართლა, თეატრი უნდა გავჩეხოთ და საზამთრო დავთესოთ?!

ალბათ, მართლაც დაანგრევენ თეატრებს და მათ ადგილას კორპუსებს ააშენებენ ბენდუქიძის ანდერძით. ჰქონდა ასეთი იდეები დიად რეფორმატორს. ეხ, ვოლგა, ვოლგა, მაწ როდნაია!

ვაფრთხილებ ბატონ გიორგაძეს – ქართული თეატრისა და ზოგადად ქართული კულტურის სიძულვილი, რომელიც მისი უშუალო კურატორისაგან ნიკა რურუასგან შეისისხლხორცა, კარგ დღემდე არ მიიყვანს „საყდრისის გმირს“ და მის „ოდეს-კურატორებს“!

35 წელია, თეატრში ვმსახურობ და ასეთი იდიოტიზმი არ გამიგია!!!

# ქართველმა მომღერალმა რიგაში გაიმარჯვა




ახალგაზრდა ქართველმა მომღერალმა ნინი ნემსაძემ ლატვიის ქალაქ რიგაში გამართულ სიმღერის საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიმსახურა.

„რიგა სიმფონი“ – ასე ეწოდებოდა კონკურსს, სადაც საქართველოდან მხოლოდ ნინი ნემსაძე მონაწილეობდა. მისი პროდიუსერისთვის, კომპოზიტორ და პედაგოგ ნიკოლოზ თითირაშვილისთვის და მომღერლისთვის რიგაში სტუმრობა ნაყოფიერი აღმოჩნდა. კონკურსში მონაწილეობდა 25 ქვეყნის 245 მონაწილე, სადაც ნინიმ შეასრულა ნიკოლოზ თითირაშვილის საავტორო სიმღერა „ჩანახატი“ და პირველი ადგილიც დაიმსახურა. ქართველმა მომღერალმა მიიღო უფლება, 30 რჩეულ კონკურსანტს შორის მონაწილეობა მიეღო გალაკონცერტში, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცა მრავალ ქვეყანაში. კონკურსის წინა დღეს ნინიმ სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტებთან ერთად შეასრულა ქართული საშობაო სიმღერა „ალილო“, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი რიგის პარლამენტის შენობაში გაიმართა, რომელსაც ქალაქის მერი და საქართველოს ელჩი ლატვიაში თეიმურაზ ჯანჯალია მეუღლესთან ერთად ესწრებოდა. მან სიამაყით აღნიშნა, რომ საქართველო სიმღერის ქვეყანაა და ნინის სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ქართველი მომღერლის მონაცემებით დაინტერესდნენ ჩეხეთისა და იტალიის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალების ორგანიზატორები და მოწვევები სცენაზევე გადასცეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „მის სამყარო“ ფრანგი გოგონა გახდა




„მის სამყაროს“ ტიტული საფრანგეთის წარმომადგენელმა ირის მიტენარმა მოიპოვა.

ფინალისტთა სამეულში მიტენარის გარდა, მოხვდნენ ჰაიტისა და კოლუმბიის წარმომადგენლები, 25 წლის რაკელ პელისიე და 23 წლის ანდრეა ტოვარი.

23 წლის „მის საფრანგეთი“ ქალაქ ლილიდანაა, ის ქირურგი კბილის ექიმის სპეციალობას ეუფლება. მისი თქმით, მას უყვარს სპორტის ექსტრემალური სახეობები, მათ შორის პარაშუტით ხტომები, ბანჯიჯამპინგი და დელტაპლანერიზმი.

დღემდე საფრანგეთის წარმომადგენელს მხოლოდ ერთხელ, 1953 წელს ჰქონდა მოგებული „მის სამყაროს“ ტიტული.

ფინალური სამსაათიანი შოუ, რომელშიც 86 პრეტენდენტი მონაწილეობდა, ფილიპინების დედაქალაქ მანილაში მიმდინარეობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პროგრამა

**პარასკევი 3 თებერვალი**

**07.00** დოკ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებნი" **08.00** ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **15.00, 02.00** გადაცემა "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. " მორგან ფრიმანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** მხ/ფ "**ადამიანები შავებში - 3**" (უ.სმიტი) **03.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00, 16.00** **ჩოგბურთი** - დევისის თასის გათამაშება. **საქართველო - ფინეთი** "ერთეულთა თანრიგი " **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "ეპიცენტრი" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" **9-10** სერ. **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **3** სერ. **22.00** მხ/ფ "**ბირთვი**" **00.15** სერ. "**რანი**" **7-8** სერ. **02.00** მხ/ფ "**ჯგუფი 7**" **03.45** მხ/ფ "**ფუთი თენგი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.50, 20.03** სერ."**ოქროს გალია**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**პიკის საათი 1**" **01.45** მხ/ფ "**პიკის საათი 2**" **03.25** მხ/ფ "**პიკის საათი 3**"

**06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "ველური ბუნება-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **12.10** პორტრეტები "იანო ალიბეგაშვილი" **13.05** აქტუალური თემა-"პატრიოტიზმი" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ბიბლია ბავშვებისთვის **15.40** დ/ფ "ბარტ ვულფი-პუერტო-რიკო" **16.10** კონცერტი **17.00** წმინდა მაქსიმე აღმსარებელი **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**კეთილი ადამიანები**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ქვიშით ამღერებული პოეზია **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" I ფ. **22.50** ჩვენი ფონდი "წმინდა მაქსიმე აღმსარებელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ჩვენი ფონდი "წმინდა მაქსიმე აღმსარებელი-მთავარეპისკოპოსი სტეფანე" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "საქართველოს ისტორია-ვახტანგ VI" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შექლებ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მახე**" **1.00** მხ/ფ "**დუპლექსი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**3 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.709 |
| ევრო | 2.9227 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4182 |
| 100 რუსული რუბლი | 4.491 |

## ამინდის პროგნოზი 3 თებერვლისთვის





## 31 იანვრიდან




ლოურენს რიზი
**მეორე მსოფლიო ომი დახურულ კარს მიღმა**
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 1 თებერვლიდან

**საქართველოს გეოგრაფიული ატლასი**




ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

## 3 თებერვლიდან



**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე**
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი



მეგობარი მეგობარს ურეკავს სამხედრო ნაწილში:
– გამარჯობა, ჭკუათხელო!
– იცით, ვის ელაპარაკებით?! – უპასუხა უცნობმა ხმამ.
– არა.
– ნაწილის უფროსი ვარ.
– და თქვენ იცით, ვის ელაპარაკებით?
– არა.
– მადლობა ღმერთს.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
– მოდი, დედაშენს დაბადების დღეზე ის თანხა ვაჩუქოთ, რამდენი წლისაც გახდა.
– რა, ორმოცდაათი ათასის ჩუქებას აპირებ?
– რაა, ორმოცდაათი ათასი წლის ხდება?!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ჩემს ცოლს ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ვუყიდე და უკვე ორი კვირაა, აღარ მელაპარაკება.
– კი მაგრამ, რატომ?
– ასეთი შეთანხმება გვქონდა...

•••

თუ მივლინებიდან დაბრუნებულს ბინა დალაგებული დაგხვდათ, ბავშვები მეცადინეობენ, ცოლი სადილს ამზადებს, სიდედრი ზის და ქსოვს, ე.ი. შენი კომპიუტერი გაფუჭებულია!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– წარმოგიდგენია, ამასწინათ სახლში მივედი, კარადის კარი გამოვაღე, იქ კი შიშველი კაცია.
– მერე, რა არის მაგაში გასაკვირი? ყველა ცოლი მასეთია...
– რა შუაშია ცოლი? მე ხომ უცოლო ვარ!!!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
– როგორი ფერმკრთალი ხარ, ძვირფასო, ექიმს უნდა ეჩვენო.
– ექიმს კი არა, ზღვას...

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– გოგონი, რა გქვიათ?
– არ გეტყვით, – კეკლუცად პასუხობს გოგონა.
– გინდა დავნაძლევდეთ, რომ სამ დარტყმაზე გამოვიცნობ?!

•••

ცოლი ტელეფონზე საუბარს დაამთავრებს და ყურმილს დაკიდებს. ქმარი ეკითხება:
– ვის ელაპარაკებოდი?
– დედაჩემი იყო, მგონი, ცოტათი ჭკუაზე შეიშალა.
– აჰაა, გამოდის, უკეთესადაა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 2 თებერვლიდან

**ძმები გრიმები**
**რაპუნცელი**
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ზლატანი: „იღბალმა ზურგი გვაქცია“

მანჩესტერ იუნაიტედმა ისევ ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. ამჯერად ჟოზე მოურინიოს შეგირდებმა საკუთარ მოედანზე ჰალ სიტის ვერ აჯობეს და შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.



მატჩის შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედის შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა კარგი შეხვედრა ჩაატარა, უბრალოდ, იღბალმა მანჩესტერს ზურგი აქცია და ჰალ სიტის მეკარემ ძალიან კარგად ითამაშა.

ზლატანმა აღნიშნა, რომ ის და მისი თანაგუნდელები ძალიან იმედგაცრუებულები არიან ამ შედეგის გამო, რადგან მანჩესტერმა მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა.

ამჟამად მანჩესტერ იუნაიტედს 42 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-6 პოზიციას იკავებს.

## მანჩესტერ სიტიმ ვესტ ჰემი გაანადგურა

ხოსეპ გვარდიოლას მანჩესტერ სიტიმ უიღბლო თამაშების სერია დაასრულა და სტუმრად ვესტ ჰემი გაანადგურა ანგარიშით 4:0.

მანჩესტერელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში უკვე 3:0 იყო მათ სასარგებლოდ. ახალგაზრდა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა გაბრიელ ჟესუსმა ამ შეხვედრაში მანჩესტერ სიტის შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა, რამაც გვარდიოლა ძალიან გაახარა.

მატჩის შემდეგ ესპანელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ჟესუსს ძალიან დიდი მომავალი აქვს. გვარდიოლამ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მისი გუნდი ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმაში შედის.




## ბარსელონამ ატლეტიკოს სტუმრად მოუგო

ესპანეთის თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში მადრიდის ატლეტიკომ საკუთარ მოედანზე ბარსელონა მიიღო და დამარცხდა ანგარიშით 1:2.



პირველი ტაიმი კატალონიელების უპირატესობით მიმდინარეობდა და ბარსელონამ მეტოქის კარში ორი გოლის გატანა შეძლო. ეს მესიმ და სუარესმა გააკეთეს. აღსანიშნავია, რომ ორივე გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა.

მეორე ტაიმში ატლეტიკომ შეძლო მდგომარეობის ოდნავ გამოსწორება და ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ მეტი დიეგო სიმეონეს შეგირდებმა ვერ მოახერხეს და საბოლოოდ ბარსელონამ სოლიდური უპირატესობა მოიპოვა.

განმეორებითი შეხვედრა 8 თებერვალს ბარსელონაში გაიმართება.

## ტოტი კარიერის დასრულებას არ აპირებს



იტალიური რომას ლეგენდამ ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ არ იცის, როდის დაასრულებს კარიერას.

ტოტიმ ეს განცხადება იტალიის თასის ნახევარფინალური შეხვედრის შემდეგ გააკეთა. აღსანიშნავია, რომ იმ შეხვედრაში ტოტიმ თერთმეტმეტრიანი დარტყმით გოლის გატანა შეძლო.

ფრანჩესკომ აღიარა, რომ ასაკის გამო მას სულ უფრო და უფრო უჭირს თამაში, მაგრამ ჯერ კიდევ შესწევს ძალა, თავის გუნდს სარგებლობა მოუტანოს. ფრანჩესკო ტოტი სექტემბერში 40 წლის გახდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 2. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი ძველად; 3. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 4. რეგიონი კახეთში; 7. ნავსადგური უკრაინაში; 9. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელ იტალიელ ოსტატთა გვარი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. სისხლის ნებაყოფლობითი გამღები ადამიანი; 15. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 17. ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 20 დიპლომატიური წარმომადგენელი;

**თარაზულად**: 5. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 6. შავი ზღვის ზვიგენი; 8. ლითონის სადნობი მეტალურგიული ღუმელი; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 16. სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 18. ფართოდ გავრცელებული მარადმწვანე ტროპიკული მცენარე; 19. ბრიტანული იუმორისტული ჟურნალი; 21. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი